ეროვნული ბიბლიოთეკა

ვალიტრა მედია

ლომი

პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

29 დეკემბერი შაბათი 2012 №309 (13 915) ფასი 80 თეთრი

ლაშა შავდათუაშვილი საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა 2012 წლის რჩეული!



11

ლიერლიის ცალფრიები

სუმოს ქართველი დიდოსტაფები

ლევან ცაგურია და თეიმურაზ ჯუღელი

8-9

ცაგურია (კოკაი) და თეიმურაზ ჯუღელი (გაგამარუ)

თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტოები

კოკაი: ასაშორიუზე გამარჯვება არასდროს [illegible]ამავიწყდება. დიდი [illegible]ონი წელიწადნახევარი [illegible]უმარცხებელი იყო და მისი წინსვლა მე შევაფერხე. დოჰიოსთან ჩემი განშორების უპირველესი მიზეზი სწორედ ბოლოდროინდელი ტრავმებია.

გაგამარუ: ცოტ-ცოტა ჩემთანაც იყო საინტერესო რამ, თუნდაც კომუსუბის ტიტულის მოპოვება, მაგრამ ლევანისგან განსხვავებით, ყველაზე დასამახსოვრებელი გამარჯვება ჯერ კიდევ მოსაპოვებელი მაქვს.

6

რუდი ფიოლერი

რუსი მგელის ფიცი

5

გაგორდება მანჩინის თავი?

1000 წლის წვრილმანი

კოპაბიტაცია და ეფემერული ცხოვრება

2

უშველის ჰოთ დოგი მშიერ ქართულ ფეხბურთს? აქ უკვე ეფემერული ღმერთების აღარ სჯერათ, რადგან ასეთი ღმერთების ლიმიტი ამოიწურა

ქართული ფეხბურთი

1000 წლის წვრილმანი

დავით თავართქილაძე

კოჰაბიტაცია ანუ ეფემერული ღმერთების დრო დამთავრდა?

2012 წელიც ფეხბურთით ვიცხოვრეთ. სიტყვა "თანაცხოვრებას" დღეს რატომღაც უფრო უცხოურით ანაცვლებენ - კოჰაბიტაცია და ვფიქრობ, რომ ეს ისეთივე აქტუალურია, როგორც მარადიული კითხვა: რა ეშველება ქართულ ფეხბურთს?

გაიმართოს ფეხბურთის ფედერაციის რიგგარეშე არჩევნები! გაჩნდა ასეთი აზრი მას შემდეგ, რაც ქვეყანაში ხელისუფლება შეიცვალა.

ფედერაციის არჩევნები როგორ ტარდებოდა, ერთი საკითხია, მაგრამ ახლა ისიც ვიკითხოთ, ფედერაციის ის სუბიექტები, რომლებიც მონაწილეობდნენ ამ არჩევნებში, დღეს რას ამბობენ, დღეს ვისი ან რისი ეშინიათ?

არადა, ყველაფერი ფედერაციის სუბიექტების ხელშია, არ ექნება ფედერაციის პრეზიდენტს მათი მხარდაჭერა და ქართული ფეხბურთის სახლსაც ახალი მეთაური ეყოლება.

საქართველოს ნაკრების შედეგზე და მის მთავარ მწვრთნელზე ბევრს რომ ლაპარაკობენ, ეს იმის ბრალი უნდა იყოს, რომ ფეხბურთის ფედერაციას ნაკრებების შესანახ ფულს სახელმწიფო აძლევდა, ფედერაციაც იძულებული იყო ეთქვა, რომ **თემურ ქეცბაია** კარგი მწვრთნელია, რომ მისი მწვრთნელობის დროს ბევრი ახალგაზრდა ფეხბურთელი გამოჩნდა ეროვნულ გუნდში და რომ მასთან კონტრაქტის გაგრძელება აუცილებელი იყო.

მოკლედ, დამღლელია და მეტი არაფერი ფეხბურთის ზედმეტად პოლიტიზირება. ამას კარგი არაფერი მოაქვს თანამედროვე ეპოქაში, ეს ისეთი უნიჭო ბლეფია, რომ რაგბის მოტრფიალე კაცის სიტყვებს გაგახსენებს: რა არის ფეხბურთი? რა და ბანგი მდაბიურთათვის!

არადა, ეს ოხერი ბანგიც თურმე აუცილებელი ყოფილა პოლიტიკოსებისთვის. ისე, კაცმა რომ თქვას, ფეხბურთი და პოლიტიკა ჰგავს ერთმანეთს. გუნდს ეთვლება ქულები, მოგება, ფრე, წაგება და პოლიტიკოსის შედეგიც დათვლადია, იქაც ატყუებენ ხალხს და აქაც, ამიტომაც, ძალიან საინტერესოა, რა როგორ იქნება გაისად.

2012 წელი არავისზე ნაკლები არ ყოფილა. საქართველოს ჩემპიონის გამოსაცხადებლად ფედერაციის აღმასკომის სხდომის ჩატარება გახდა საჭირო. რა თქმა უნდა, ესეც იუმორში გადავატარეთ, ასეთი რამ მხოლოდ საქართველოში ხდება, ეს ის ექსკლუზიურობაა, რაც მანამდეც ჰქონდა ცოდვა-მადლით სავსე ქართულ ფეხბურთს.

თემურ ქეცბაია

ლევან კობიაშვილი (მარცხნივ) და ალექსანდრე იაშვილი

ზურაბ ხიზანიშვილი

ჩისკო

2012 წელს პირველად ვნახე, რომ პრესკონფერენციის დასრულების შემდეგ ეროვნული გუნდის თავკაცი ჟურნალისტს ეკითხებოდეს, კითხვას რატომ არ მისვამო.

რაც თემურ ქეცბაია ჩვენი ნაკრების მწვრთნელი, ყველაზე მართალი და მახვილი შეტევა მაშინ გააკეთა, როცა თქვა, ბელარუსსა და ფინეთში რომ ჰქონდა ნაკრებს თამაშები, ქართველი ჟურნალისტები სად იყავითო.

შესაძლოა, ქეცბაიამ დაახლოებით მაინც არ იცის, რა დღეშია ქართული მედია, რა ჯამაგირზე მუშაობს ხალხი იმ სფეროში, სადაც ბევრს გულწრფელად სჯერა იმ ეფემერული ღერთის არსებობის, რომელიც მათ მოაფულიანებს.

ქეცბაია ამ კონკრეტულ შემთხვევაში ჟურნალისტებთან ცამდე მართალი იყო, ოღონდაც ეს გამარჯვება მას არაფერს მატებს, მას სულ სხვანაირად ეთვლება შედეგი: სატურნირო ცხრილში დაგროვილი ქულებით.

ნაკრებში აღარ თამაშობენ **ლევან კობიაშვილი** და **ალექსანდრე იაშვილი**. მათ გარეშე ჩვენს ეროვნულ გუნდს თითქოს კოლორიტულობა მოაკლდა, თორემ შედეგი არც მათი ნაკრებში თამაშის დროს გვქონდა. ქეცბაია ალბათ არც **ზურაბ ხიზანიშვილს** გამოიძახებს, ეყოლება ახალგაზრდები და ექნება იმის საშუალება, რომ თქვას, ნაკრებში თაობათა ცვლა მიდის, გუნდის გადახალისება მიმდინარეობს, ახალი სისხლია საჭირო...ცხადია, ეს არაერთხელ მოგვისმენია ნაკრების სხვა მწვრთნელებისგან, მაგრამ ამით საქმე წინ არ წასულა.

კითხვა კი კითხვად რჩება: რა ეშველება ქართულ ფეხბურთს? აქ უკვე აღარ სჯერათ ეფემერული ღმერთების, რადგან ასეთი ღმერთების ლიმიტი ამოიწურა. ის მოვა და გვიშველის – ასეთმა დამოკიდებულებამ არ გაამართლა.

რა ვიცი, იქნებ ეს კოჰაბიტაცია გამოდგეს მხსნელი ჰოთ დოგი მშიერი ქართული ფეხბურთისთვის. ნორმალური, ცივილური და პარტნიორული თანაცხოვრება ისეთი ფორმაა, რაც ქართულ ფეხბურთს მანამდე არ ჰქონია ხელისუფლებასთან. ალბათ ამის გამო არიან დაშინებული ფედერაციის სუბიექტები და დღესაც ვერ ამბობენ, თუ როგორ ჩატარდა ფეხბურთის ფედერაციის ბოლო ორი არჩევნები.

ფეხბურთს კი ისევ თამაშობენ საქართველოში ჩამოტანილ მინდვრებზე, ხელოვნურ საფარზე და ბალახშემხმარ მოედნებზე. ყველაზე მაგარი ამ საქმეში ესპანელი **ჩისკოა**, ასე ჰგონია უმეტესობას. ჩისკო ნამდვილად არ არის ეფემერული ვარსკვლავი, საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის დონე მას არცთუ მცირე უპირატესობას აძლევს, მაგრამ ფეხბურთის თამაში რომ კარგად იცის, ამასაც ვერ დაუკარგავ. მაგრამ ახლა ესეც ვიკითხოთ: არის კი ჩისკო ისეთი, რომ ხალხი სტადიონზე მიიყვანოს?

ჩისკო "დინამო თბილისის" ფეხბურთელია, ეს არის გუნდი, რომელსაც აქვს იმის ფუფუნება, რომ ლეგიონერები სათადარიგოთა სკამზე დასვას. "დინამო" ფინანსურად და ინფრასტრუქტურულად ყველაზე ლონიერად გამოიყურება, იმდენი კარგი ფეხბურთელი ჰყავს, რომ პირველ ლიგაშიც გაიჩინა გუნდი. ბევრი კარგი ფეხბურთელის ყოლით "დინამო" კონკურენტებს ასუსტებს, მაგრამ სად უნდა ითამაშოს ბევრმა კარგმა ქართველმა ფეხბურთელმა, როცა მოედანზე მხოლოდ თერთმეტის ადგილია, სკამზე კი უცხოელებსაც უნდა გაუწიო კონკურენცია.

საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ **მამუკა ჯუღელის** და გორის "დილას" ამბავი მალე დასრულდება. რა არის ჯუღელის თანამდებობა "დილაში"? ამ კითხვაზე მკაფიოდ კლუბშიც კი ვერ გვიპასუხეს, ხოლო კულუარებში ამბობენ, "დილა" უცხოეთში რომ იყო შეკრებაზე, ჯუღელთან შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრიც კი ჩავიდა დასალაპარაკებლადო. ნუთუ ჯუღელიც ეფემერული ღმერთია? მან ისეთი ფეხბურთელები მიიყვანა "დილაში", რომლებიც მასზე იმას კი არ ამბობენ, ჩვენი მენეჯერიაო, არამედ ოჯახის წევრად მოიხსენიებენ.

მოკლედ, კოჰაბიტაცია თუ გვიშველის, თორემ სხვა დანარჩენი რესურსი უკვე აღარ ჩანს.

2013 წელს ექსკლუზივები და საფეხბურთო ჰიტები კიდევ იქნება, რადგან ამის საფუძველი ისევ არსებობს. თაფლი და ნიგოზი თუ მართლა აააქტიურებს ტვინის უჯრედებს, ესეც კიდევ ერთი დამხმარე საშუალება იქნება ამ საახალწლო დღეებში, მოოხშივრე ხორცეულ-თევზეული და ალკოჰოლი ხომ მთლად ააფორიაქებს ქართულ ფეხბურთზე დაფიქრებულ კოჰაბიტატორებს. ჩვენი საქმე არც ისე ცუდად უნდა იყოს ზედმიწევნით გასტრონომიულ პერიოდში, ასეთი განცხრომა-განტვირთვა მღელვარე 2012 წლის შემდეგ დიახაც საჭიროა.

და რა ეშველება ქართულ ფეხბურთს?

ამ ბლოგის ავტორი პირობას დებს, რომ ასეთ პროვოკაციულ კითხვას აღარ დასვამს.

● ზესტაფონი – ბიბლიოთეკა

უკვე ოფიციალურად: კაჭარავა ზესტაფონის მწვრთნელია

ფეროელთა სამწვრთნელო შტაბს გოგიჩაიშვილიც შეემატა

რამდენიმე დღის წინ "ლელოსთან" ინტერვიუში **კახა კაჭარავამ** განაცხადა, რომ მალე "ზესტაფონთან" კონტრაქტს გააფორმებდა და ასეც მოხდა – მხარეებს შორის ხელშეკრულება გუშინ დაიდო, რომლის მიხედვითაც კონტრაქტი 2013 წლის 1 იანვრიდან შევა ძალაში და მისი მოქმედების ვადა სამი წელიწადი იქნება.

შეგახსენებთ, რომ კაჭარავა "ზესტაფონში" უმაღლესი ლიგის პირველი ეტაპის დასრულებამდე სამი ტურით ადრე მივიდა და მწვრთნელ-კონსულტანტის რანგში ლოკალური ამოცანა წარმატებით გადაჭრა – ფეროელებს სამივე მატჩი მოაგებინა, რამაც "ზესტაფონს" ჩემპიონატის საუკეთესო ექვსეულში მოხვედრისა და საპრიზო ადგილებისთვის ბრძოლის გაგრძელების საშუალება მისცა. ყოველივე ამის შემდეგ კი საქართველოს მოქმედი ჩემპიონის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილება სრულიად ლოგიკურად უნდა მივიჩნიოთ.

კაჭარავა დატოვებს საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრების მთავარი მწვრთნელის თანამდებობას. როგორც იცით, ეს გუნდი ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის ელიტრაუნდშია გასული და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას მისთვის ახალი თავკაცის მოძიება მოუწევს.

კაჭარავას "ზესტაფონში" ახლო წარსულში ცნობილი ფეხბურთელი **კახა გოგიჩაიშვილი** დაეხმარება, რომელიც ბოლოს საქართველოს 16-წლამდელთა ნაკრების ერთ-ერთი მწვრთნელი იყო. კაჭარავას მსგავსად, ფეროელებთან გოგიჩაიშვილმაც სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა

ლევან ჯანეზაშვილი

კახა კაჭარავა

კოლხეთი

უხელფასობა და ბუნდოვანი მომავალი

ერთადერთი უმაღლესლიგელი, რომელსაც უძლიერესთა შორის დარჩენის შანსი და იმედი გადაწურული აქვს, ფოთის "კოლხეთია". ზღვისპირელებისთვის სეზონის დარჩენილი ნაწილი სრული ფორმალობაა.

სამწუხაროდ, "კოლხეთის" უსიამოვნებები ამით არ შემოიფარგლება. ცუდ ასპარეზობას თან ერთვის ფინანსური პრობლემები – ნოემბერ-დეკემბრის ხელფასები გაუცემელია და, სავარაუდოდ, ფეხბურთელები და პერსონალი კუთვნილ ანაზღაურებას ახალ წლამდე ვერ მიიღებენ.

"კოლხეთი" უკვე დატოვა ძირითადი გუნდის თერთმეტმა ფეხბურთელმა და ჩემპიონატის მეორე ეტაპზე ფოთელების ღირსებას მრავლად დაიცავენ დუბლშემადგენლობის მოთამაშეები, რაც "კოლხეთის" შედეგებს იოლად პროგნოზირებადს ხდის.

სეზონის მეორე ნახევრისთვის მზადებას გუნდი 10 იანვარს შეუდგება და ამის შემდეგ "კოლხეთის" შესახებ უფრო ბევრი სიახლე გახდება ცნობილი.

გაგრა

თურქული შეკრება და უცვლელი მიზანი

"გაგრა" უმაღლეს ლიგაში დაბრუნებას ლამობს. პირველი ლიგის A ჯგუფში **ზვიად ჯელაძის** გუნდი დღეისთვის მესამე ადგილზეა და ლიდერ "გურიას" 7 ქულით ჩამორჩება, მაგრამ "გაგრას" წევრები იმედოვნებენ, რომ ამ სხვაობის აღმოფხვრასა და ელიტის საგზურის მოპოვებას შეძლებენ.

ზამთრის შეკრებაზე "გაგრა" ანთალიაში გაემგზავრება, სადაც უცხოურ კლუბებთან რამდენიმე სპარინგ-მატჩს გამართავს. საახალწლო არდადეგები კი ფეხბურთელებს 10 იანვარს დაუმთავრდებათ და თურქეთში წასვლამდე თბილისში ივარჯიშებენ.

"გაგრა" საქართველოს თასის მერვედფინალშია გასული, სადაც მისი მეტოქე ქუთაისის "ტორპედო" იქნება. გეხსომებათ, ეს გუნდები ერთმანეთს შარშანდელ ფინალში დაუპირისპირდნენ და მაშინ გამარჯვება და ტიტული "გაგრას" დარჩა.

"ჩვენი მეტოქე ახალგაზრდული და ძლიერი გუნდია, მაგრამ "გაგრა" შემდეგ ეტაპზე გასასვლელად იბრძოლებს. პირველი მატჩი ქუთაისში გველის, რაც მცირე უპირატესობას გვაძლევს, თუმცა შანსებს მაინც თანაბრად შევაფასებდი. ჩვენი ფეხბურთელები თასის მერვედფინალურ შეხვედრებს მოუთმენლად ელიან", - გვითხრა "გაგრას" საზოგადოებასთან ურთიერთობისა და იურიდიული სამსახურის უფროსმა **მიხეილ აფხაზავამ**.

ლევან ჯანეზაშვილი

● *ბენდელას თასი*

კვირას ფინალებია

23 დეკემბერს დაიწყო აფხაზეთის ომის გმირის, **ზაზა ბენდელიანის** ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი ბავშვთა და დიდების გუნდებს შორის.

"ბენდელას" სტადიონზე მიმდინარე ბავშვების გათამაშებაში გუშინ ჯგუფური ეტაპის გამარჯვებულები გამოვლინდნენ.

დღეს ნახევარფინალური მატჩები იმართება. ერთმანეთს დაუპირისპირდებიან "საბურთალო 1" - "საბურთალო 2" და "დინამოს აკადემია" - "35-ე სკოლა".

თამაშები 13 და 14 საათზე "ბენდელას" სტადიონზე გაიმართება. კვირას, 14 საათზე კი ფინალში გამარჯვებული გამოვლინდება. გადაუჭარბებლად ვიტყვით: თუ გინდათ ჩვენი ფეხბურთის მომავალი იხილოთ, მატჩებს დაესწარით და ბავშვების შესრულებით ძალიან ლამაზ და დაძაბულ თამაშებს იხილავთ.

დასასრულს მიუახლოვდა დიდების გათამაშებაც, სადაც, ტრადიციულად, ლეგიონერებსა და უმაღლესი ლიგის მოთამაშეებს იხილავთ. ფინალს 30 დეკემბერს "ბენდელას" სტადიონი 15 საათზე უმასპინძლებს - ერთმანეთს სეუ და "ვისოლი" შეხვდებიან.

მერაბ მამულაშვილი

DINAMO TBILISI 1925

დინამო თბილისის საფეხბურთო სკოლა იწყებს მიღებას!

დინამოს საფეხბურთო სკოლა იფუნქციონირებს კლუბის საფეხბურთო აკადემიის ბაზაზე.

დინამოს საფეხბურთო სკოლაში საწვრთნელი პროცესი 1 მარტიდან დაიწყება.
დინამოს საფეხბურთო სკოლაში ფეხბურთელის მიღება იწარმოებს 6-დან 14 წლის ჩათვლით
დინამოს საფეხბურთო სკოლაში, სწავლების ყოველთვიური გადასახადი შეადგენს 100 ლარს.

დინამოს საფეხბურთო სკოლაში მიღების წესი

გთხოვთ ანკეტის ელექტრონული ვერსია შეავსოთ და გამოაგზავნოთ ელექტრონული ფოსტით მისამართზე: info@fcdinamo.ge
ანკეტის მიღება, შევსება და ჩაბარება ასევე შესაძლებელია დინამოს დიღმის საწვრთნელი ბაზაზე. მისამართი: თბილისი, დიღმის მასივი, მე-3 კვარტალი, ბორის პაიჭაძის ქუჩა.
დინამო არენა. მისამართი: აკაკი წერეთლის გამზირი N2
რეგისტრაციის მიღების პირველი ეტაპის ბოლო ვადაა 15 თებერვალი.
მეტი ინფორმაციისთვის ეწვიეთ დინამოს ოფიციალურ ვებგვერდს: http://fcdinamo.ge/

● *პრობლემა*

დავით მუჯირი და ზაზა ზამთარაძე (მარჯვნივ)

მოთამაშეთა პროფკავშირები: დრო, საქმეს მივხედოთ

საქართველოში ყოველთვის პრობლემური იყო კლუბისა და მის მიერ დაქირავებულთა (მოთამაშეები, მწვრთნელები, სხვა პერსონალი) ურთიერთობა. ზოგადად ეს საქართველოს სატკივარიც არის – კანონმდებლობა დამქირავებელს, ფაქტობრივად, დაქირავებულის აბუჩად აგდების უფლებას აძლევს და ეს საშწუხარო ტენდენცია ყველა სფეროზე ვრცელდება. ცხადია, ფეხბურთზეც, მიუხედავად იმისა, რომ აქ ფიფას ფედერალური კანონმდებლობა არის პრიორიტეტული.

ქართულ ფეხბურთში კონტრაქტის დარღვევის უამრავი მაგალითი გვახსოვს, კურიოზულებიც კი, როდესაც გუნდს სახელფასო დავალიანება არყის საბითუმო პარტიით გადაუხადეს. ასეთი რამ ერთხელ რუმინეთში მოხდა, პრეზიდენტს ფული შემოაკლდა და მოთამაშეებს ვალი ... ღორის ხორცით გაუსტუმრა.

უმაღლეს ლიგაში ახალციხის "მესხეთსა" და "ბორჯომში" მოთამაშეებს ხელფასებს თვეობით არ უხდიდნენ. მეტიც, როცა "ბორჯომი" უმაღლესი ლიგიდან ვარდებოდა, რადენიმე ტურის განმავლობაში მთავარი მწვრთნელის გარეშე დარჩა და შემადგენლობას ფეხბურთელები აყენებდნენ.

საქართველოში პრობლემაა კონტრაქტში ელემენტარული პუნქტის შეტანა, რომელიც მოთამაშის დაზღვევას გულისხმობს – შესაბამისი პროფილის კომპანიები ფეხბურთთან თანამშრომლობას ერიდებიან, კლუბების მნიშვნელოვანი ნაწილი კი მოთამაშეთა მკურნალობის ხარჯებზე უარს ამბობს. არადა, ეს ფეხბურთში ისეთივე ბუნებრივი უნდა იყოს, როგორც ვარჯიში.

ან რამდენი მწვრთნელი და ფეხბურთელი გვახსოვს, რომელთაც კლუბებმა ხანგრძლივი კონტრაქტები დაურღვიეს და "მშრალზე" დატოვეს. ყველას კარგად ახსოვს **გრიგოლ ჭანტურიასა** და „ზესტაფონის" ცნობილი დავა. ბოლო მაგალითი ფოთის "კოლხეთში" მოხდა, სადაც სამი თვის არგაცემული ხელფასების ფონზე, თერთმეტი მოთამაშე დაითხოვეს და მათ საკუთარი უფლებების დაცვა ფეხბურთის ფედერაციაში გადაწყვიტეს. მანამდე "ზესტაფონში" ოთხი მოთამაშის გაშვებასა და დასჯას აპირებდნენ.

საერთოდ, ჩვენში ხშირად ფორმდება კონტრაქტები, სადაც პირობების დარღვევის შემთხვევაში ცალმხრივად მხოლოდ მოთამაშე ან მწვრთნელი ისჯება, კლუბი კი არანაირ პასუხისმგებლობას არ იღებს. მაგრამ დღეს კონკრეტული პრობლემების განხილვას არ ვაპირებთ, რადგან ამით საკითხს ვერ მოევლება.

საინტერესო უნდა იყოს საკონტრაქტო მოთხოვნები, რომელიც უეფამ წლეულს, აპრილში ჩამოწერა. ევროპული ფეხბურთის მმართველი ორგანო პროფესიული ფეხბურთის სტრატეგიულ კავშირთან, ევროპული კლუბების ასოციაციასთან და პროფესიონალ ფეხბურთელთა პროფკავშირებთან (ფიფპრო) შეთანხმდა და დაადგინა ის მინიმალური მოთხოვნები, რომლებსაც უეფას წევრი ქვეყნები უნდა აკმაყოფილებდნენ:

1 - კონტრაქტი გაფორმებული უნდა იყოს წერილობით;

2 - მასში გაწერილი უნდა იყოს კლუბისა და ფეხბურთელის ძირითადი უფლება-მოვალეობები;

3 - კონტრაქტში მოცემული უნდა იყოს ინფორმაცია ხელფასის, სამედიცინო დაზღვევის, სოციალური დაცვისა და ანაზღაურებადი შვებულების შესახებ;

4 - ხელშეკრულება უნდა ითვალისწინებდეს დავების წარმოშობის შემთხვევაში მათი გადაწყვეტის გზებს.

გარდა ამისა, ახალი შეთანხმების თანახმად, ფეხბურთელები ვალდებულნი არიან, დაესწრონ ვარჯიშებს, იცხოვრონ ცხოვრების ჯანსაღი წესით და დაიცვან დისციპლინა.

ამას გარდა, უეფას პრეზიდენტი **მიშელ პლატინი** აპირებს, რომ უახლოეს მომავალში დააკანონოს შემდეგი: მოთამაშის იჯარის შემთხვევაში, კლუბები ვალდებულები იქნებიან, მინიმუმ ერთწლიანი კონტარქტები გააფორმონ. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანი საქართველოსთვის იქნება, რადგან გავრცელებული ფორმა, ნახევარწლიანი იჯარა, მოთამაშეს სტაბილურობის განცდასა და ზრდის სრულყოფილ საშუალებას არ აძლევს. ასე, ძირითადად, საბიუჯეტო კლუბებში ხდება.

საინტერესო ფაქტია: გორის "დილასთან" ფეხბურთელებმა ხანგრძლივი კონტრაქტები გააფორმეს, მაგრამ ოფციონის (0,6+) წესით. ანუ, ფაქტობრივად, ნახევარწლიანი ხელშეკრულებებია, რაც კლუბის ინტერესსაც ეწინააღმდეგება, რადგან ნახევარ წელიწადში ყველა მოთამაშეს შეუძლია კონტრაქტზე უარი თქვას.

■ ■ ■

"ზესტაფონის" ყოფილი მთავარი მწვრთნელი **ზაზა ზამთარაძე** მიიჩნევს, რომ პრობლემა პროფკავშირების ჩამოყალიბებით მოგვარდება:

- საქართველოში უნდა არსებობდეს ფიფასთან და ფიფპროსთან კავშირის მქონე ლიცენზირებული პროფკავშირები, რომელიც კონტრაქტის სტანდარტებს გააკონტროლებს და მოთამაშეთა და მწვრთნელთა უფლებებს დაიცავს. ეს აუცილებელია იმისათვის, რომ კლუბებმა ვეღარ გაბედონ თვითნებურად და ცალმხრივად, კონტრაქტების სათავისოდ შედგენა. ის, რაც დღეს საქართველოში შაბლონად არის დანერგილი, ამას ხელშეკრულება არ ჰქვია, დამქირავებელს არანაირი ვალდებულება არ აქვს და ნებისმიერ დროს ისე გაგათავისუფლებს, რომ თავად არ დაზარალდება.

- კარგად მახსოვს, ეს იდეა ჯერ კიდევ ფეხბურთელობის დროს გია ჯიშკარიანმა წამოსწია, მაგრამ არაფერი გამოვიდა.

- ფეხბურთელმაც უნდა იცოდეს, რომ არსებობს ასეთი ორგანიზაცია, რომელიც მის კანონიერ უფლებებს დაიცავს და ადვოკატს დაუქირავებს. 300-ლარიანი კონტრაქტიც ფიფას სტანდარტებით უნდა გაფორმდეს და 10-ათასდოლარიანიც. 21-ე საუკუნეა, არ შეიძლება მხოლოდ ერთი მხარის ინტერესი დომინირებდეს, მეორეს კი მინიმუმიც არ ჰქონდეს.

არ გახსოვთ, იტალიაში სერია "ა"-ს სეზონის დაწყება ერთი თვით გადაინია და ფეხბურთელები მოედანზე არ გადიოდნენ, რადგან პროფკავშირმა კლუბებს მოთხოვნები წაუყენა, მოთამაშეებმა კი სოლიდარობა გამოავლინეს. იგივე მოხდა ნბა-შიც.

- ჩვენთან მოთამაშეები არიან სოლიდარულები?

- ეს 10-მა მოთამაშემ და მწვრთნელმაც რომ გააკეთოს, პროცესი დაიწყება და მსოფლიოში აპრობირებული იურიდიული ნორმები საქართველოშიც დამკვიდრდება. ჩვენი ფეხბურთელებისა და მწვრთნელების შეგნება ამ დონემდეა მისული, რომ პროფკავშირების ჩამოყალიბება მათთვის აუცილებელია. ამის გაკეთება არც ისე ძნელია, ორგანიზაციასთან კონტრაქტები გააფორმონ და თვეში 10-15 ლარი მაინც გადაიხადონ. მე თუ მკითხავთ, ეს ქართული ფეხბურთის განვითარებას ნაადგება. პროფკავშირები გააკონტროლებენ კონტრაქტებს, ცალმხრივად რომ არ შედგეს და დაქირავებულის ინტერესები დაცული იქნას.

მერაბ მამულაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეგიონერი

ნიკა ძალამიძე:

პოლონეთის ჩრამპლინად გამოვიყენებ

ნიკა ძალამიძისთვის 2012 წელი უაღრესად წარმატებული გამოდგა – შედეგიანად ითამაშა პოლონური "იაგელონიას" შემადგენლობაში, ჰქონდა დებიუტი საქართველოს ეროვნულ ნაკრებში, რამდენიმე დღის წინ კი საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მიერ ორგანიზებული გამოკითხვის შედეგად ჩვენი ქვეყნის წლის საუკეთესო ახალგაზრდა ფეხბურთელი გახდა. ძალამიძე, რომელმაც პოლონეთის ჩემპიონატის 15 მატჩში 4 გოლი გაიტანა, დღეს "ლელოს" რესპონდენტია.

- უპირველესად, ამ აღიარებას გილოცავთ...

- დიდი მადლობა. ეს ჩემთვის ძვირფასი ჯილდოა, რომელსაც, სიმართლე გითხრათ, არ ველოდი. მიმდინარე წელი, რომელიც ჩემთვის ისედაც ღირსშესანიშნავი გამოვიდა, ამ ლამაზმა საღამომ დააგვირგვინა. მადლობას ვუხდი ყველას, ვინც ამ აღიარების ღირსად ჩამთვალა. ეს ჩემთვის დიდი პატივია და ძალიან ბევრს მავალდებულებს. კარგად ვიცი, რომ მიღწეულზე არ უნდა შევჩერდე და სამომავლო წარმატებებისთვის ვიბრძოლო. ქართველ გულშემატკივრებს ვპირდები, რომ მათი იმედების გასამართლებლად თავს არ დავზოგავ. აქვე შემთხვევით ვისარგებლებ და ახალ წელს მივულოცავ მთელ საქართველოს, ჩემს ქვეყანას ბედნიერებასა და გამთლიანებას ვუსურვებ.

- "იაგელონიაში" ადაპტაცია არ გაგჭირვებია?

- როგორც იცით, "იაგელონია" ჩემთვის პირველი პოლონური კლუბი არ არის. მანამდე "ვიძევში" ოჯარით ვთამაშობდი, ასე რომ, პოლონურ ფეხბურთთან ადაპტაცია სწორედ იქ გავიარე. თავიდან გარკვეული სირთულეები "იაგელონიაშიც" მქონდა, მაგრამ ყველაფერი დავძლიე, ძირითად შემადგენლობაში ფეხი მოვიკიდე და გუნდისთვის სარგებლობის მოტანასაც ვახერხებ. რაც მთავარია, აქ ყველა პირობა მაქვს იმისთვის, რომ კიდევ უფრო განვვითარდე. მწვრთნელმა და თანაგუნდელებმა თბილად მიმიღეს და ყველანაირად ხელს მინყობენ, საცხოვრებელ პირობებსაც არ ვუჩივი და მაქვს იმის საშუალება, რომ მთლიანად ფეხბურთზე ვიყო კონცენტრირებული.

- "იაგელონია" 16-გუნდიან ექსტრაკლასაში პირველი წრის შემდეგ მე-10 ადგილზეა. ეს პოზიცია კლუბის ხელმძღვანელობისთვის დამაკმაყოფილებელია?

- დღეისთვის არ გვაქვს იმის საშუალება, რომ წამყვან პოლონურ კლუბებს კონკურენცია გავუწიოთ, თუმცა ახლო მომავალში ეს შესაძლებელი უნდა გახდეს.

- ყველაზე ხშირად რომელ პოზიციაზე გათამაშებენ?

- ბოლო დროს მარჯვენა ნახევარმცველის ფუნქციებს ვასრულებ, მანამდე ხშირად მაყენებდნენ ცენტრალურ ნახევარმცველად, ერთი-ორი მატჩი თავდამსხმელის პოზიციაზეც კი ჩავატარე. ჩემთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა არ აქვს, რა ადგილს მომიძებნიან მოედანზე, მზად ვარ, ნებისმიერი როლი შევასრულო.

- მიმდინარე სეზონში შენი საუკეთესო მატჩი რომელი იყო?

- ჩემს ყოფილ კლუბ "ვიძევთან" თამაში, სადაც ორი გოლი გავიტანე.

- პოლონეთის ჩემპიონატის დონეზე რას იტყოდი?

- ნამდვილად არ არის ძალიან ძლიერი ჩემპიონატი, მაგრამ მაინც ნორმალური დონეა. საქართველოს ჩემპიონატის შემდეგ ჩემთვის პოლონეთში თამაში უდავოდ წინგადადგმული ნაბიჯია, თუმცა ამაზე გაჩერებას არ ვაპირებ. შევეცდები, პოლონეთი ტრამპლინად გამოვიყენო. ამ ქვეყნის ჩემპიონატი ევროპელი სკაუტების ყურადღების არეალშია და ნარმატებული ფეხბურთელი არავის გამორჩება. ჩემი მიზანია, კარიერა უფრო ძლიერ ლიგაში გავაგრძელო.

- რაიმე კონკრეტული წინადადება ხომ არ მიგიღია?

- ჯერ ამაზე საუბარი ნაადრევია. ახლა მთლიანად ჩემს ამჟამინდელ კლუბზე ვარ კონცენტრირებული. სეზონს "იაგელონიაში" ჩავამთავრებ, დანარჩენს კი დრო გვიჩვენებს.

- შენი და ლადო დვალიშვილის მაგალითზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ ქართველებს პოლონურ ფეხბურთთან ადაპტაცია არ უჭირთ.

- ნამდვილად ასეა. გარდა იმისა, რომ იქაურ საფეხბურთო სტილს ვეგუებით, ჩვენს შედეგიან თამაშში დიდ როლს თამაშობს პოლონელთა კეთილგანწყობა ქართველთა მიმართ. პოლონეთში თავს ძალიან კომფორტულად ვგრძნობთ. ლადო სეზონს მაღალ დონეზე ატარებს, რასაც მის მიერ გატანილი გოლების რაოდენობაც მოწმობს. მას კარგი პრესა აქვს.

- საქართველოს ჩემპიონატს თუ ადევნებ თვალს?

- დიახ და ძალიან მწყდება გული, ჩვენს კლუბებს რომ არ ულხინთ. განსაკუთრებით, რა თქმა უნდა, "ზუგდიდის" ბედი მადარდებს.

- სანაკრებო დებიუტს როგორ გაიხსენებდი?

- ეროვნულ ნაკრებში დებიუტი თურქეთთან ამხანაგურ შეხვედრაში მქონდა, რასაც ესპანეთთან ჩატარებული მატჩი მოჰყვა. ამ თამაშს ჩემს მოგონებებში განსაკუთრებული ადგილი უკავია. სამწუხაროა, რომ დავმარცხდით, მაგრამ ყველას ვუჩვენეთ, რომ მსოფლიოს საუკეთესო გუნდთანაც შეგვიძლია ღირსეულად ბრძოლა.

- 2013 წელს შენი მთავარი სურვილი რა არის?

- დამკვიდრება საქართველოს ეროვნულ ნაკრებში და წინსვლა საკლუბო კარიერაში.

ლევან ჯანეზაშვილი

სიტუაცია

ბესო აბაშიძე:

შესაძლოა, დინამოს სანქცია დააკისრონ

27 დეკემბერს "ლელოსთან" ინტერვიუში თბილისის "დინამოს" სპორტულმა დირექტორმა **ბუბა ტყავაძემ** ახალწვეულებზე ილაპარაკა.

ამასთან დაკავშირებით საფეხბურთო სააგენტო "Players Agnets"-ის წარმომადგენელი **ბესო აბაშიძე** დაგვიკავშირდა.

"ჩვენთვის მოულოდნელი გამოდგა ინტერვიუს ის ნაწილი, რომელშიც ტყავაძე ახსენებს ლაშა შინდაგორიძეს და გიორგი ქვილითაიას, ფეხბურთელებს, რომელთა სატრანსფერო უფლებები ხელშეკრულებების საფუძველზე ჩვენს სააგენტოს ეკუთვნის.

ლაშა შინდაგორიძესთან გაფორმდა სააგენტო ხელშეკრულება და მისი კარიერის განვითარებაზე ზრუნვა დავიწყეთ 2009 წლიდან. საქართველოს მაშინდელი U17-წლამდელთა ნაკრების (მწვრთნელი გიორგი დევდარიანი) ორ ფეხბურთელთან (დავით სხირტლაძე, დავით ლეგაშვილი) ერთად შინდაგორიძეც გავამგ ზავრეთ პრაღის "სლავიაში" ორკვირიან სინჯებზე. წარმატებული სინჯების შემდეგ ჩეხებმა წინასწარ შეთანხმებული პირობები შეცვალეს, რის გამოც ტრანსფერი ჩაიშალა და სხირტლაძის მსგავსად, შინდაგორიძე დანიურ "ორჰუსში" აღმოჩნდა. იქ მან წელინადზე მეტი დაჰყო, რის შემდეგაც დანიელებმა ხელშეკრულება შეუწყვიტეს და თავისუფალი აგენტის სტატუსით გამოუშვეს. ჩვენი ძალისხმევით შინდაგორიძე დანიიდან პოლონურ "ვიძევში" სინჯებზე აღმოჩნდა, მაგრამ ზერელე და უპასუხისმგებლო დამოკიდებულების გამო არ დატოვეს.

2012 წლის ზაფხულში შინდაგორიძე კვლავ ჩეხეთში გავამგ ზავრეთ, ამჯერად პრაღის "დუკლაში", სადაც სინჯზე ჯერ ორი კვირა დაჰყო, შემდეგ კიდევ ერთი, თუმცა "დუკლას" სამწვრთნელო შტაბი მისმა ფიზიკურმა მდგომარეობამ არ დააკმაყოფილა. გამომდინარე იქედან, რომ ფეხბურთელი უგუნდოდ რჩებოდა, დეკემბრის ბოლომდე "ზესტაფონში" განათხოვრება მოვახერხეთ - შინდაგორიძის სატრანსფერო უფლებები დღემდე პირველი ლიგის "სასკოს" ეკუთვნის.

ცხადია, ყველაფერი ზემოთ დასახელებული სააგენტოს ხარჯით ხდებოდა, რომელსაც და შინდაგორიძისგან ერთი თეთრი არ მიუღია. დეკემბრის დასაწყისში ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ შინდაგორიძემ "დინამოში" დაინყო ვარჯიში. მიუხედავად ჩვენ მიერ "დინამოს" გაფრთხილებისა, რომ შინდაგორიძის კონტრაქტის გაფორმების პროცესში ჩავერთეთ, "დინამომ" ფეხბურთელი ხელშეკრულების გაფორმებაზე ჩვენი გვერდის აკლით დაიყოლია. აღნიშნული "ლელოსთან" ინტერვიუში დაადასტურა თავად ტყავაძემ.

რაც შეეხება გიორგი ქვილითაიას: ხელშეკრულების საფუძველზე მის კარიერაზე სააგენტომ ზრუნვა 2010 წელს დაიწყო. სინჯებზე წავიყვანეთ დანიურ „რანდერსსა" და ავსტრიულ „ზალცბურგში", სადაც ბრწყინვალედ წარმოაჩინა შესაძლებლობები. პირველ შემთხვევაში „რანდერსი" დანიური სუპერ ლიგიდან გავარდა და ტრანსფერი არ შედგა. ზალცბურგში" კი დაკვირვების პროცესში მთლიანად სამწვრთნელო შტაბი შეიცვალა და ტრანსფერი ჩაიშალა. ამის შემდეგ ქვილითაიამ დანიაში "დანა ქაფზე" ითამაშა, სადაც 4 თამაშში 5 ბურთი გაიტანა, სამი საგოლე გადაცემა მიითვალა და ერთ-ერთი საუკეთესო იყო გუნდში.

ისევე როგორც შინდაგორიძის შემთხვევაში, "დინამოს" სპორტული დირექტორი ტყავაძე ქვილითაიასაც დაუკავშირდა და კვლავ აგენტების მონაწილეობის გარეშე მოინდომა მისი გადაბირება. შინდაგორიძისგან განსხვავებით, ქვილითაია მოწოდების სიმაღლეზე დადგა და ჩვენი რჩევები გაითვალისწინა. შემოთავაზებულ კონტრაქტზე ჩვენი შენიშვნები და წინადადებები "დინამომ" არ გაითვალისწინა. მეტიც, ქვილითაიას ურჩია, ჩამოშორებულიყო აგენტებს, რადგან ისინი კარიერას დაუღუპავდნენ. ვფიქრობთ, რომ ხსენებულ ინტერვიუში ქვილითაიასადმი ტყავაძის ცინიკური ტონი ამით იყო განპირობებული" – ამბობს აბაშიძე.

სააგენტოს წარმომადგენელი ამბობს, რომ ასეთი მიდგომა ქართული ფეხბურთისთვის მიუღებელია: "დასანანია, რასაც "დინამოს" წარმომადგენელი აკეთებს. ამ მოქმედებებით ტყავაძე იგნორირებას უკეთებს ფიფას პრინციპებს და არღვევს რეგულაციებს, რითაც უპირველესად, სახელს უტეხს კლუბს, ხოლო უახლოეს მომავალში, ჩვენი საჩივრის საფუძველზე, არაა გამორიცხული, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ თბილისის "დინამოს" სანქცია დააკისროს. შეუძლებელია ეს ფაქტები გვახარებდეს, თუმცა დარწმუნებული ვართ, რომ ჩვენი უმოქმედობა მომავალში უფრო დიდ ზიანს მოუტანს "დინამოს" სახელს და ზოგადად ქართულ ფეხბურთს, რადგანაც ერთხელ და სამუდამოდ უნდა მოხდეს ქართულ რეალობაში იმ საერთაშორისო სტანდარტების დამკვიდრება, რასაც კლუბებს, ფეხბურთელებსა და აგენტებს შორის ჯანსაღი ურთიერთობები ჰქვია".

კომენტარისთვის თბილისის "დინამოს" დავუკავშირდით და იურისტი, **ლევან ზუხბაია** დაგვალაპარაკეს.

"თუ ფეხბურთელი მეტყვის, რომ მის აგენტს უნდა დაველაპარაკო, ცხადია, დაველაპარაკები – ეს ფიფას რეგულაციებით არის გათვალისწინებული. მაგრამ ამ შემთხვევაში ასე არ ყოფილა: შინდაგორიძე "დინამოს" სპორტულ დირექტორს, ბუბა ტყავაძეს რომ ელაპარაკა, შეხვედრას მეც ვესწრებოდი და მან აგენტის დახმარება არ ისურვა, ურთიერთობა აღარ გვაქვსო. ამიტომ, "დინამოს" ჰქონდა სრული უფლება, მოლაპარაკება აგენტის გარეშე ეწარმოებინა. ხომ არ დავაძალებდით, გინდა თუ არა დაგვალაპარაკეო? თუმცა, მეორე დღეს აგენტი ბესო აბაშიძე დაგვიკავშირდა და მოლაპარაკებაში ჩართვა გვთხოვა. თუ პრეტენზიები აქვთ, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში სარჩელი შეიტანონ და პასუხს აუცილებლად გავცემთ. მიმაჩნია, რომ აგენტი კონტრაქტის ჩაშლას არ უნდა ცდილობდეს. ასევე მოხდა გიორგი არაბიძის შემთხვევაშიც, ხელშეკრულება შეთანხმებული გვქონდა, მაგრამ ბოლო მომენტში საქმეში ისევ აბაშიძე ჩაერთო, შეთანხმება ჩაიშალა და ამ პერსპექტიულ ბიჭს დრო გაუცდა. ჩვენი მხრივ კი ვიტყვი, რომ კლუბის კანონიერ ინტერესებს ყოველთვის დავიცავ" – ამბობს ზუხბაია.

მერაბ მამულაშვილი

ლაშა შინდაგორიძე (მარჯვნივ)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინგლისი. პრემიერლიგა. XX ტურის წინ

რობერტო მანჩინის მძიმე დღეები უდგას

დენთის კასრი ეჯიპადზე

"ბოქსინგ დეი"ს მე-2 ტურს "სტედიუმ ოფ ლაითზე" ის გუნდები გახსნიან, რომელთაც ურთიერთდაპირისპირებათა მდიდარი ისტორია აქვთ. "სანდერლენდი" "ტოტენჰემს" პირველად 1899 წლის 11 თებერვალს შეხვდა და 1:2 დამარცხდა. მართალია, ზოგადი სტატისტიკა თითქმის თანაბარია, მაგრამ პრემიერლიგაში მათი პაექრობები "დეზების" სასარგებლოდ უფრო მთავრდება. "შავმა კატებმა" მიყოლებით ორი შეხვედრა მოიგეს და გასავარდნ ზონას დაშორდნენ, თუმცა მიღნეულით ტკბობა ჯერ კიდევ ადრეა. ამჯერად მისი მეტოქე "ტოტენჰემია", ვინც საოცარ ფორმაში იმყოფება. წყვილის ფავორიტად "დეზები" მიიჩნევიან. ჩვენ უფრო ფრეს ველოდებით.

"უიგანს" 6 თამაშია, არ მოუგია, მაგრამ ამან არ უნდა გაგვაკვირვოს, გადახედეთ მეტოქეთა სახელებს, ანგარიშებს და მიხვდებით, რომ **რობერტო მარტინესის** გუნდს თავი არავისთან შეურცხვენია, რასაც ნამდვილად ვერ ვიტყვით "ასტონ ვილაზე", ვისაც ბოლო ორ ნაგებულ შეხვედრაში 12 ბურთი აქვს გაშვებული. იმის მიუხედავად, რომ სტუმრები შედეგს დიდი შრომით თუ აღწევენ, თამაშის ხარისხი ბევრად უფრო კარგი აქვთ, ვიდრე მეტოქეებს. გულწრფელად გეტყვით, რომ ფავორიტად რატომღაც "უიგანს" მივიჩნევთ.

"ქრევეინ კოტეჯზე" ერთმანეთს კარგა ხნის მოუგებელი გუნდები დაუპირისპირდებიან. "ფულჰემის" თამაში ერთბაშად მოიშალა. **მარტინ იოლს** უჭირს ფეხბურთელების ძველ რელსებზე დაბრუნება. "სუონსიზე" ამას ვერ ვიტყვით. "გედები" იბრძვიან და მათი მოუგებელი სერია ცოტა უიღბლობისა და ცოტაც ძლიერი მეტოქეების ბრალია. მიუხედავად ამისა, დღეს ლონდონელთა გამარჯვებას ველოდებით. ამ შემადგენლობით ისინი ელიტაში დასარჩენად ნამდვილად არ უნდა იბრძოდნენ.

"ოლდ ტრეფორდზე" უპირობო ფავორიტი, როგორც წესი, წინდაწინვეა ხოლმე ცნობილი. დღეს სწორედ ეს შემთხვევაა. "ვესტ ბრომვიჩს" სერიოზული ოფლისღვრა მოუწევს თუნდაც ქულის წასაღებად, თუმცა, ვფიქრობთ, **სტივ კლარკის** გუნდს ესეც ვერ უშველის. მართალია, "იუნაიტედს" **უეინ რუნი** არ ეყოლება, მაგრამ ძირითადში მის ადგილს ვერცხლისწყალივით მოძრავი **ხავიერ ერნანდესი** დაიკავებს. ამჯერად "ეშმაკების" წინახაზელებს ცოტა უფრო მეტი გამჭრიახობა მართებთ, რადგან "ვესტ ბრომვიჩის" დაცვა ნამდვილად არ ჰგავს "ნიუკასლისას". ჩვენი პროგნოზი: მასპინძელთა გამარჯვება ორი ბურთის სხვაობით.

"მანჩესტერ სიტის" "სანდერლენდთან" დამარცხების შემდეგ კიდევ ერთი რთული გამოცდა ელის. "ნორვიჩი" 10-მატჩიანი წაუგებელი სერიის შემდეგ მიჯრით 2-ჯერ დამარცხდა და ახლა შინ შეეცდება დაკარგულის ანაზღაურებას. "ქალაქელებს" ყოველი დაპირისპირება ძვირად უჯდებათ. **რობერტო მანჩინი** კი, დიდი ხანია, დანის პირზე დადის. როდის მოუწევს მას პოსტთან დამშვიდობება, ეშმაკმა უწყის. შეიხმა **მანსურმა** შესაძლოა, იტალიელ სპეციალისტს მეტი ფეხის დაცდენა აღარც აპატიოს. ნერვიულობენ თავად ფეხბურთელებიც. მაგალითად **ჯო ჰარტმა** თანაგუნდელებს ხმამაღლა მოუწოდა, ძალები მოეკრიბათ და არ დანებებულიყვნენ. მასპინძლების მდგომარეობას ის ამსუბუქებს, რომ "იადონებს" სეზონის დარჩენილ ნაწილში სანერვიულო აღარაფერი რჩებათ. ევროთასებზე ვერ გავლენ და არც გასავარდნად უნდა დაუდგეთ საქმე. პროგნოზი: წესით, სტუმრებმა ფხა უნდა გამოიჩინონ და მოიგონ.

უპირობო აუტსაიდერი "რედინგი" ცუდ ფორმაში მყოფ "ვესტ ჰემს" ხვდება. შესაბამისად, გვეეჭვება, რომ გუნდებმა მაყურებელს საამო სანახაობა შესთავაზონ. ვფიქრობთ, **ბრაიან მაკდერმოტის** შეგირდებს **სემ ელერდაისის** გუნდთან 3 ქულის აღების შანსი პრაქტიკულად არ აქვთ. მართალია, "ჩაქუჩებს" **ენდი კეროლი** (ტრავმა) და **კარლტონ კოული** (დისკვალიფიკაცია) დააკლდებიან, მაგრამ "დიდი სემი" ალბათ მაინც მოიფიქრებს რამეს. პროგნოზი: შედეგიანი ფრე ან სტუმართა გამარჯვება მინიმალური ანგარიშით.

"სტოკ სიტი" "საუთჰემპტონთან", რასაკვირველია, ფავორიტია. "მეთიხეებს" ერთი პრობლემა აქვთ: **ჯეიმს კემერონი** და **რაინან შოუკროსი** მეხუთე ყვითელი ბარათის გამო დისკვალიფიცირებულები არიან, თუმცა მათი არყოფნა "წმინდანებთან" გადაულახავი პრობლემა არ უნდა იყოს. პროგნოზი: **ტონი პულისის** გუნდი მინიმუმ 2 ბურთით მოიგებს.

"მეთოფეებს" ზედიზედ სამი მატჩი აქვთ მოგებული. ისინი "ნიუკასლთანაც" ფავორიტები არიან. ტრავმა მოირჩინა **ოლივიე ჟირუმ** და გამოკვეთილი თავდამსხმელის ადგილს ალბათ ის ჩაიბარებს. ნიშნავს თუ არა ეს, რომ **თეო უოლკოტი** სკამზე დარჩება? წინასწარ ამის თქმა გვიჭირს. "კაჭკაჭებს" წამყვანი ცენტრალური მცველი **მაიკ უილიამსონი** გამოაკლდათ, რაც ჩრდილოელთა ისედაც არასაიმედო დაცვას უფრო იოლად გასატეხს ხდის. პროგნოზი: "არსენალის" გამარჯვება.

"ქუინზ პარკთან" მატჩის წინ "ლივერპულის" ფანებისთვის არცთუ სასიამოვნო ინფორმაცია ვრცელდებოდა. შესაძლო იყო, ტრავმის გამო შეხვედრა **ლუის სუარესს** გამოეტოვებინა. თუმცა უკანასკნელი ცნობებით ურუგვაელი ხვალისთვის მწყობრში იქნება. ბუკმეიკერები ფავორიტად "ლივერპულს" ასახელებენ. ჩვენი აზრით კი ყველაზე რეალური უხვგოლიანი ფრეა.

არა მხოლოდ XX ტურს, არამედ მთლიანად 2012 წლის ინგლისის საფეხბურთო კალენდარს უქმეების ცენტრალური შეხვედრა დაასრულებს. "გუდისონ პარკს" "ჩელსი" სტუმრობს. მართალია, ლონდონელებს ერთი თამაშით ნაკლები აქვთ, მაგრამ გუნდები მინიმუმ ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის ბრძოლაში მაინც შეიძლება ერთმანეთის კონკურენტებად დავასახელოთ. "ევერტონს" მიმდინარე სეზონში შინ თამაში ჯერ არ წაუგია, "ჩელსი" კი კარგ ფორმაშია და მისი მარცხი ძნელად წარმოგვიდგენია. აქედან გამომდინარე, ჩვენ უფრო ფრეს ველოდებით.

დღეს

სანდერლენდი–ტოტენჰემი 16:45

ტრავმა: ბრაუნი, ლ. კატერმოული - კაბული

ბოლო 6 მატჩი

+3=0-3 +4=1-1

ურთიერთშეხვედრები

სულ 96 თამაში: +34=27-35 (128-126)

ასტონ ვილა–უიგანი 19:00

ტრავმა: ბენტი, აგბონლაჰორი, ვლაარი, დანი – მიაიჩი, კრუსატი, უოტსონი

დისკვალიფიკაცია: დელფი (ასტ)

ბოლო 6 მატჩი

+2=2-2 +0=1-5

ურთიერთშეხვედრები

სულ 14 თამაში: +5=5-4 (16-14)

ფულჰემი–სუონსი 19:00

ტრავმა: ეტერიჯი, დიარა, ს. დევისი – რანხელი, ნ. ტეილორი

ბოლო 6 მატჩი

+1=2-4 +1=2-3

ურთიერთშეხვედრები

სულ 8 თამაში: +4=1-3 (11-12)

იუნაიტედი–ვესტ ბრომვიჩი 19:00

ტრავმა: რაფაელი, ნანი, კაგავა (მან)

ბოლო 6 მატჩი

+5=1-0 +2=1-3

ურთიერთშეხვედრები

სულ 101 თამაში: +46=23-32 (192-154)

ნორვიჩი–სიტი 19:00

ტრავმა: სარმანი, რადი – ბალოტელი, კოლაროვი, როდუელი, რიჩარდსი

ბოლო 6 მატჩი

+3=1-2 +3=1-2

ურთიერთშეხვედრები

სულ 45 თამაში: +5=16-24 (40-80)

რედინგი–ვესტ ჰემი 19:00

ტრავმა: მორისონი, მაკარტი – მაკარტნი, დიამე, ვას ტე, კეროლი

დისკვალიფიკაცია: კ. კოული (ვეს)

ბოლო 6 მატჩი

+0=1-5 +1=1-4

ურთიერთშეხვედრები

სულ 10 თამაში: +6=1-3 (20-9)

სტოკ სიტი–საუთჰემპტონი 19:00

ტრავმა: დელაპი, უილსონი – ლალანა

დისკვალიფიკაცია: კემერონი, შოუკროსი (სტოკ)

ბოლო 6 მატჩი

+3=3-0 +2=2-2

ურთიერთშეხვედრები

სულ 34 თამაში: +10=6-18 (45-59)

არსენალი–ნიუკასლი 21:30

ტრავმა: ა. სანტოსი, დიაბი, ფაბიანსკი – ბენ არფა, გოსლინგი, ს. ტეილორი, რ. ტეილორი, კაბაი, ვუკჩიჩი

დისკვალიფიკაცია: უილიამსონი (ნიუკ)

ბოლო 6 მატჩი

+3=2-1 +2=0-4

ურთიერთშეხვედრები

სულ 149 თამაში: +57=34-58 (207-201)

ხვალ

ევერტონი–ჩელსი 17:30

ტრავმა: მირალიაში, ჰიბერტი – ტერი, რომეუ

დისკვალიფიკაცია: ფელაინი (ევერ)

ბოლო 6 მატჩი

+3=3-0 +3=2-1

ურთიერთშეხვედრები

სულ 154 თამაში: +49=49-56 (228-236)

ქუინზ პარკი–ლივერპული 20:00

ტრავმა: სეზარი, დაიერი, ბოსინგვა, პარკი, ზამორა, ე. ჯონსონი – აისადი, ბორინი, კელი

ბოლო 6 მატჩი

+1=3-2 +3=0-3

ურთიერთშეხვედრები

სულ 42 თამაში: +7=6-29 (37-71)

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. იუნაიტედი	19	15	1	3	48-28	46
2. სიტი	19	11	6	2	34-16	39
3. ჩელსი	18	10	5	3	37-17	35
4. ტოტენჰემი	19	10	3	6	34-25	33
5. ევერტონი	19	8	9	2	32-23	33
6. ვესტ ბრომვიჩი	19	10	3	6	28-23	33
7. არსენალი	18	8	6	4	32-18	30
8. სტოკ სიტი	19	6	10	3	18-14	28
9. სუონსი	19	6	7	6	27-23	25
10. ლივერპული	18	6	7	6	28-26	25
11. ნორვიჩი	19	6	7	6	20-28	25
12. ვესტ ჰემი	18	6	5	7	22-22	23
13. სანდერლენდი	19	5	7	7	20-24	22
14. ფულჰემი	19	5	6	8	29-34	21
15. ნიუკასლი	19	5	5	9	23-30	20
16. ასტონ ვილა	19	4	6	9	15-36	18
17. საუთჰემპტონი	18	4	4	10	23-34	16
18. უიგანი	19	4	3	12	19-35	15
19. რედინგი	19	1	7	11	21-37	10
20. ქუინზ პარკი	19	1	7	11	16-33	10

ბომბარდირები: 13 - **მიგელ მიჩუ** (სუონსი), **რობინ ვან პერსი** (მანჩესტერ იუნაიტედი), 11 - **დემბა ბა** (ნიუკასლი), **ლუის სუარესი** (ლივერპული)

ამბები

მაკლიშს მეტყველები ჩაბარეს

"ნოტინგემ ფორესტმა" **შონ ოდრისკოლი** მთავარ მწვრთნელად ივლისში მიიწვია. 55 წლის ინგლისელის სახელს გუნდის აღმავლობას უკავშირებდნენ, ფიქრობდნენ, რომ მასთან ერთად უახლოესი რამდენიმე წლის განმავლობაში პრემიერლიგაში გადასასვლელად ბრძოლა გახდებოდა შესაძლებელი. თუმცა ნოტინგემელებს იმედი გაუცრუვდათ. 24-ე ტურის შემდეგ მას კარისკენ მიუთითეს. კლუბმა შემცვლელი მალევე მონახა, "რეინჯერსისა" და შოტლანდიის ნაკრების ყოფილი თავკაცი **ალექს მაკლიში**. 53 წლის შოტლანდიელი მიმდინარე წლის მაისის შემდეგ უმუშევარი იყო. ბოლოს ის "ასტონ ვილას" ედგა სათავეში.

ლივერპული ბაბლენდს ყიდულობს

SKY SPORTS-ის ცნობით, "ლივერპულმა" საბოლოოდ გადაწყვიტა ჩემპიონშიპის "ბირმინგემიდან" 19 წლის ინგლისელი გოლკიპერის **ჯეკ ბატლენდის** გადაბირება. თინეიჯერი ფეხბურთელი ამ ზაფხულს მოულოდნელად ჯერ ევროპის ჩემპიონატზე გაემგზავრა ინგლისის ნაკრების შემადგენლობაში, შემდეგ კი დიდი ბრიტანეთის გუნდის ძირითადი კარის დარაჯი იყო ლონდონის ოლიმპიურ თამაშებზე. ფეხბურთელს "ბირმინგემთან" კონტრაქტი 2015 წლის ზაფხულზე უმთავრდება. კონტრაქტით განსაზღვრულია მისი ხელშეკრულების გამოსასყიდი თანხა – 6 მილიონი ფუნტი. ადგილობრივ პრესას კლუბის პრეზიდენტმა **კარსონ იენგმა** დაუდასტურა, რომ ფინანსური პრობლემების გამო ის იძულებულია, წამყვან ფეხბურთელებს გამოეთხოვოს. მიმდინარე სეზონში ბატლენდმა ჩემპიონშიპის 24-ვე ტური შეუცვლელად ჩაატარა.

გვერდი მოამზადა
ლევან ბიბილაშვილმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

უცხოური ფეხბურთი

● წლის ფანი

მარტოხელა არიგო

ყველა დროის მეთორმეტე კაცი

10 დეკემბერს იტალიის ჩემპიონატის მორიგ კალენდარულ მატჩს „სამპდორიასა“ და „უდინეზეს“ შორის გენუაში ოფიციალური მონაცემით 20 897 მაყურებელი დაესწრო. მათ შორის მხოლოდ ერთი იყო უდინური კლუბის ტიფოზერიის წარმომადგენელი. მისი სახელი და გვარია არიგო ბროვენადი. ვფიქრობთ, ეს ტიპი ყველა დროის მეთორმეტე კაცის სტატუსს იმსახურებს.

You'll never Walk Alone - ეს ფრაზა ფეხბურთის ფანებში მთელი მსოფლიოს მასშტაბით პოპულარულია და ცხადია, „უდინეზეს“ ფანებსაც ძალიან უყვართ, მაგრამ იმ მართლაც მშვენიერ დღეს უდინელმა ტიფოზებმა 37 წლის **არიგო ბროვენადი** მარტო დატოვეს. „უდინეზეს“ 37 წლის ფანი გენუის სტადიონზე თანამოაზრეებიდან მარტო იყო - სრულიად მარტო.

მიუხედავად ამისა, „უდინეზეს“ ერთგული არიგო მაინც მივიდა „ლუიჯი ფერარისზე“. ერთი 20 897-ის წინააღმდეგ - რაც არ უნდა ჰოლივუდურად ჟღერდეს, ეს იტალიური ამბავია. არიგო გენუელ ფანებს შორის არ დამალულა, სტუმარმა ტიფოზების ტრიბუნას მიაშურა და რა თქმა უნდა, მთელი საფეხბურთო იტალიის ყურადღება მიიქცია.

არიგომ საკუთარი მანქანით ფრიულიდან გენუამდე 600 კილომეტრი გაიარა. შესაძლოა, მომდევნო ეპიზოდმა ამ ამბავს ჩრდილი მიაყენოს და არიგოს ეს კონკრეტული ისტორიაც აღარ გამოვიდეს ისეთი სრულყოფილი, როგორის შთაბეჭდილებასაც მარტო ფოტო ტოვებს, მაგრამ მაინც უნდა ვთქვათ, რომ გენუაში მხოლოდ ფეხბურთის გამო არ ჩასულა. ანუ, არიგო არ არის გიჟი, რომ 600 კილომეტრი ფეხბურთის გამო გაიაროს იმ დროს, როცა ყველა მის თანამოაზრეს მომავალი შეხვედრა ამდენად არ უღირს. არიგო ღვინის ბიზნესშია ჩართული და გენუაში საქმიანი შეხვედრაც ჰქონდა. ის ყოველთვის ესწრება „უდინეზეს“ გასვლით მატჩებს - თუკი საქმიანი შეხვედრა იმ ქალაქში დაემთხვა, სადაც იმ დროს „უდინეზე“ ჩადის და ავტომობილის საბარგულში „უდინეზეს“ დროშაც უდევს ხოლმე.

იტალიაში სტადიონების გავსება ბოლო დროს განსაკუთრებით ჭირს. გასვლით მატჩებზე გუნდის გაყოლას ვინ ჩივის, მასპინძელი კლუბის ფანებიც კი არ აქტიურობენ ისე, როგორც საჭიროა, მაგრამ თუ საქმე მცირე მანძილის გავლას ეხება, იტალიელებს წასვლა-წამოსვლა დღესაც არ ეზარებათ ხოლმე. თუმცა „სამპდორია“-„უდინეზეს“ დაპირისპირება ასეთი მატჩების კატეგორიაში არ შედიოდა.

არიგო ბროვენადი, უდინეზეს ერთადერთი ტიფოზი ლუიჯი ფერარისის სტუმრებისთვის განკუთვნილ ტრიბუნაზე

„სტადიონის შესასვლელში მკითხეს, თუ გნებავთ, მთავარ ტრიბუნაზე დაბრძანდითო, მაგრამ ამაზე, რა თქმა უნდა, უარი ვთქვი. ჯერ ერთი, ფული სტუმართა ბლოკის ბილეთში მქონდა გადახდილი და მეორეც, მთავარ ტრიბუნაზე გენუელები ტვინს წამილებდნენ, მე კი ყველაზე მეტად იმას ვერ ვიტან, როცა ვილაც-ვილაცები ტვინს მიჭამენ ხოლმე. ჰოდა, გადავწყვიტე, სტუმართა ფანებისთვის განკუთვნილ, იმ დღეს უკაცრიელ ტრიბუნაზე მოვკალათებულიყავი. ალბათ სასაცილო სანახავი ვიყავი, მაგრამ დღეს მთელი „უდინეზე“ ჩემით ამაყობს, მე კი ამით ვამაყობ. გამოდის, ყველაფერი იდეალურადაა! - აცხადებს არიგო ერთ-ერთ ინტერვიუში, - *შესვენებაზე ყავა მომართვეს, იმ ტიპმა მითხრა, დღეს „კაპუჩინოზე“ „სამპდორია“ გეპატიჟებაო. გამიხარდა, მადლობა-მეთქი.“*

მის მიმართ „სამპდორიას“ ფანებმაც სტუმართმოყვარეობა გამოიჩინეს - არაერთხელ უძღვნეს ტაში და სხვადასხვა გამამხნევებელი შეძახილები. არიგო მაგრამ ჩემპიონთა ლიგის მთავარ ფავორიტებად „ბარსელონა“ და „ბაიერნი“ მიმაჩნია.

6. რუდი ფიოლერი პენსიაზე „ლევერკუზენიდან“ გავა...

ფიოლერი: ამ გუნდთან უკვე ძალიან ბევრი რამ მაკავშირებს - „ლევერკუზენში“ ფეხბურთსაც ვთამაშობდი, მწვრთნელიც ვიყავი და ახლა სპორტული დირექტორი ვარ. შესაბამისად, „ბაიერს“ ჩემს გულში განსაკუთრებული ადგილი უკავია. კონტრაქტი 2017 წლამდე მაქვს გაფორმებული და მართლაც ვერ წარმომიდგენია, რომ პენსიამდე სამსახური კიდევ გამოვიცვალო.

7. 60 წლის ასაკში რუდი საცხოვრებლად რომში გადავა!

ფიოლერი: ამ კითხვაზე კონკრეტული პასუხის გაცემა ჯერჯერობით შეუძლებელია. რომზე ვგიჟდები და იქ ცხოვრება მინდა, მაგრამ ამას ალბათ უფრო 70 წლის ასაკში გავაკეთებ.

8. რუდის შვილი მარკო პროფესიონალი კალათბურთელი გახდება...

ფიოლერი: ეს ძალიან კარგი იქნებოდა, მაგრამ მარკოთი ახლაც ვამაყობ. სტუდენტია და კალათბურთს მეორე ლიგაში თამაშობს. კალათბურთზე აქამდე არ ვგიჟდებოდი, მაგრამ მარკოს გამო სპორტის ამ სახეობის ფანიც გავხდი.

9. გერმანია 2014 წელს მსოფლიოს ჩემპიონი გახდება!

ფიოლერი: ფაქტია, რომ 2014 წელს მსოფლიოს ჩემპიონობის უფრო უკეთესი შანსი გვექნება, ვიდრე 2010-ში გვქონდა. იმიტომ, რომ გერმანიის ნაკრები მუდმივად პროგრესირებს, ესპანელები კი, იმედია, ძველებურად დამშეულები აღარ იქნებიან.

10. 2014 წლის მუნდიალის შემდეგ იოახიმ ლიოვს ბუნდესმწვრთნელის პოსტზე რუდი ფიოლერი შეცვლის!

ფიოლერი: რა სისულელეა! რა თქმა უნდა, არა.

გოტფრიდ ლენცი

● ინტერვიუ. რუდი ფიოლერი

გაუპარსავი რუხი მგელი

იმედია, ესპანელები საბოლოოდ დანაყრდნენ და ბრაზილიაში მსოფლიოს ჩემპიონები ჩვენ გავხდებით!

წლის ბოლოს რუდი ფიოლერმა წვერი მოუშვა და ჩვენს გერმანელ კოლეგებსაც მეტი რა უნდოდათ - დაიწყეს დაუმთავრებელი დისკუსია, თუ რატომ არ იპარსავდა 1990 წლის მსოფლიოს ჩემპიონი, გერმანული ფეხბურთის ყველა დროის ერთ-ერთი ლეგენდარული წარმომადგენელი, რომელიც დღეს ლევერკუზენის „ბაიერის“ სპორტული დირექტორია. როგორც ასეთ შემთხვევებში უმეტესად ხდება ხოლმე, ყველაფერი გაცილებით მარტივად ყოფილა, ვიდრე ექსპერტ-მიმომხილველებს წარმოედგინათ - 52 წლის რუდიმ თქვა, შვილებს დავენიძლავე, რომ ახალ წლამდე დიდ წვერს ავიტანდიო. აი, ასე! მიზეზის გახმაურების შემდეგ გაუპარსავი ფიოლერის ფენომენის მიმართ დაინტერესებამ იკლო, ამ პერიოდში გადაღებული ფოტოები კი ისტორიას დარჩება. ახლა კი საქმე: „ბილდის“ კორესპონდენტი რუდის „ლევერკუზენის“ ოფისში ესტუმრა და მასთან გაზეთის ტრადიციად ქცეული ინტერვიუ „ათი საკითხი, ათი პასუხი“ ჩაწერა. აი, ისიც.



რუდი ფიოლერი დღეს ლევერკუზენის „ბაიერის“ სპორტული დირექტორია

1. „ლევერკუზენი“ მეორე წრეში „ბაიერნს“ დაეწევა, გაასწრებს და გერმანიის ჩემპიონი გახდება!

ფიოლერი: ყოველგვარი ხუმრობის ან სპეციალური ნეგატიური განწყობის გარეშე ვამბობ: ეს შეუძლებელია! „ბაიერნი“ გაცილებით მაღალ საფეხურზეა და თანაც, ამ სეზონში იდეალურად თამაშობს. რეკორდმაისტერს ამ სეზონში ჩემპიონობას ვერავინ ნაართმევს. რაც შეგვეხება ჩვენ: უბრალოდ გვინდა, რომ მეორე წრეშიც კარგად ვითამაშოთ და დავამტკიცოთ, რომ პირველი წრე მეორე ადგილზე შემთხვევით არ დავამთავრეთ. „ლევერკუზენის“ მიზანი ჩემპიონთა ლიგის საგზურის მოპოვებაა.

2. შტეფან კისლინგი 2013 წელს გერმანიის ნაკრებში დაბრუნდება და ბუნდესლიგის საუკეთესო ბომბარდირი გახდება!

ფიოლერი: თუკი შტეფანი ჯანმრთელად იქნება, ბუნდესლიგის საუკეთესო ბომბარდირობა მისთვის მართლაც რეალურია. რაც შეეხება გერმანიის ნაკრებში მის დაბრუნებას: თუ ასე გააგრძელებს, ფაქტია, რომ იოახიმ ლიოვი კისლინგს გვერდს ვერ აუვლის და ბუნდესგუნდში დააბრუნებს.

3. მადრიდის „რეალი“ დანიელ კარვახალს ზაფხულში დაიბრუნებს და „ლევერკუზენს“ მასში 6.5 მილიონ ევროს გადაუხდის...

ფიოლერი: დანი, რა თქმა უნდა, ოცნებობს „რეალში“ დაბრუნებაზე, მაგრამ არა მგონია, ეს ამ ზაფხულს მოხდეს. იმედია, კარვახალი კიდევ დიდხანს დარჩება ჩვენთან. პირველ წრეში მან დაამტკიცა, რომ ძალიან კარგი მარჯვენა მცველია, მე კი ბედნიერი ვარ, „რეალის“ მეორე გუნდიდან რომ წამოვიყვანე.

4. ანდრე შიურლეს სეზონის ბოლოს ლონდონის „ჩელსი“ 30 მილიონად შეიძენს...

ფიოლერი: შიურლე უკვე ჩამოყალიბებული, უმაღლესი კლასის ფეხბურთელია და ცხადია, იქნება ეს „ჩელსი“ თუ სხვა რომელიმე სუპერგრანდი, ბევრი შეთავაზება ექნება. ჩვენ მის საკითხს მშვიდად ვუდგებით. მიხარია, რომ ზაფხულში არც შიურლე დავთმეთ და არც ლარს ბენდერი - „ლევერკუზენში“ ეს ფეხბურთელები ამინდს ქმნიან.

5. „ბაიერი“ ევროპალიგას მოიგებს, ჩემპიონთა ლიგის თასი კი „ბაიერნს“ ან „დორტმუნდს“ დარჩება!

ფიოლერი: ევროპალიგის პლეი ოფში ლისაბონის „ბენფიკას“ სახით ძალიან რთულ მეტოქეს გადავეყარეთ, მაგრამ ჩვენ დიდი ამბიციები გვაქვს და გვინდა, ამ ტურნირზე რაც შეიძლება შორს გავიდეთ. რაც შეეხება ჩემპიონთა ლიგას: მეც ვფიქრობ, რომ „დორტმუნდს“ ევროპაში გამეფების შანსი და პოტენციალი აქვს,

> **„ბაიერნს“ ველარ დავეწევით, ჩვენი მიზანი ჩემპიონთა ლიგის საგზურის მოპოვებაა“**

6. ბერლინ ოლიმპიადა 1936 - ეს ... ?

ფიოლერი: ... ეს ... ?

7. ... ?

ფიოლერი: ... ?

8. ... ?

ფიოლერი: ... ?

9. ... ?

ფიოლერი: ... ?

10. ... ?

ფიოლერი: ... ?

ლევან ბიბილაშვილი

● ამბები

ვიდიჩის მორიგი პრობლემა

23 დეკემბერს, სუონსის "ლიბერთი სტედიუმზე" გამართულ შეხვედრაში "მანჩესტერ იუნაიტედის" კაპიტანმა **ნემანია ვიდიჩმა** მუხლი კიდევ ერთხელ დაიზიანა და 26-ში "ნიუკასლთან" მოედანზე გამოსვლა უკვე ველარ მოახერხა. ის მხოლოდ სათადარიგოთა შორის იჯდა. ჯერ კიდევ უცნობია, 31 წლის სერბი შეძლებს თუ არა თამაშს "ვესტ ბრომვიჩის" წინააღმდეგ.

რეინჯერები მცველს ეძებენ

იანვარში "ქუინზ პარკი" "ფულჰემიდან" 31 წლის **ბრედ ჰანგელანდის** გადაბირებას შეეცდება. ახოვანი ნორვეგიელი (199 სმ) პრემიერლიგაში უკვე მეხუთე სეზონს ატარებს და დიდი ავტორიტეტითაც სარგებლობს. მას კოტეჯელებთან ხელშეკრულება სეზონის დასრულების შემდეგ უმთავრდება და მის გაგრძელებაზე უკვე თქვა უარი. "დეილი ექსპრესის" მტკიცებით, "ქუინზ პარკის" ყველაზე რეალური კონკურენტი "არსენალია". რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, ნორვეგიელი უპირატესობას სწორედ "მეთოფეებს" ანიჭებს.

ლევან ბიბილაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს საინტერესოა

ბარსელონა ტოპ ფეხბურთელთა სამჭედლო

ვისი გაზრდილები არიან რონალდო, მესი, ფალკაო?

„ბარსელონა“ ევროპის ტოპ-5 საფეხბურთო ლიგის (ესპანური ლა ლიგა, ინგლისური პრემიერლიგა, იტალიური სერია ა, გერმანული ბუნდესლიგა და ფრანგული ლიგა 1) მთავარი მომმარაგებელია მზა პროდუქციით ანუ ფეხბურთელებით. შვეიცარიული „CIES საფეხბურთო ობსერვატორიის“ კვლევის თანახმად, ხუთ ლიგაში კატალონიური გრანდის აღზრდილი 38 ფეხბურთელი თამაშობს.

წლეულს ბარსელონამ უკვე ითამაშა მთლიანად თავისი აკადემიის, ლა მასიას აღზრდილებით

დავაზუსტოთ, რომ „აღზრდაში“ ითვლება, თუ ფეხბურთელმა ახალგაზრდულ ასაკში (15-დან 21 წლამდე, მთავარი წლები ფეხბურთელად ჩამოყალიბებისთვის) სულ მცირე, სამი წელი გაატარა კლუბის სისტემაში. შესწავლილია 98 გუნდის 2 286 ფეხბურთელი. აღსანიშნავია, რომ მათი აბსოლუტური უმრავლესობა ერთი რომელიმე კლუბის აღზრდილია და მხოლოდ 116 შემთხვევაში იყოფს „აღმზრდელის“ სახელს ორი სხვადასხვა კლუბი.

■ საერთო ჯამში ტოპ-5 ლიგის 2 286 ფეხბურთელი 805 კლუბის აღზრდილია.

■ „ბარსელონას“ გაზრდილი 38 ფეხბურთელიდან 14 ჯერაც ამ კლუბში თამაშობს, 24 კი სხვადასხვა გუნდშია (**ორიოლ რომეუ** - „ჩელსიში“, **პეპე რეინა** - „ლივერპულში“, **მიკელ არტეტა** - „არსენალში“ და ასე შემდეგ). ამ 38 ფეხბურთელიდან 36-ის აღზრდაში „ბარსამ“ შეიტანა ძირითადი ღვაწლი, **ისააკ კენკა** („რეუსი“) და **კრისტიან ტელიო** („ესპანიოლი“) კი სხვა კლუბთან ერთად აღზარდა.

■ „ბარსელონას“ შემდეგ ტალანტების მთავარი მწარმოებლები არიან ფრანგული „ლიონი“ (31 ფეხბურთელი ევროპის ტოპ-5 ლიგაში), ესპანური „რეალი“ (29), ფრანგული „რენი“ (24) და ინგლისური „მანჩესტერ იუნაიტედი“ (24).

■ ეს ხუთი კლუბი ყველას 0,6%-ია, არადა, მათ ფეხბურთელების 6% აღზარდეს.

■ 42-მა კლუბმა ანუ ყველას 5%-მა კი ამ ლიგებში მოთამაშე ფეხბურთელების 30% აღზარდა! აქედანაც კარგად ჩანს, რომ ევროპული კლუბების კარგა მოზრდილი ნაწილი ან სათანადო ყურადღებას არ ანიჭებს ახალი თაობის აღზრდას, ან ამ საქმისგან არაფერი ხეირიანი არ გამოსდის.

ტოპ-31 „აღმზრდელი“ კლუბი

კლუბი	ქვეყ.	აღზრ.	კლუბ.	სხ. კლუბ.
1. ბარსელონა	ესპანეთი	38	14	24
2. ლიონი	საფრანგეთი	31	10	21
3. რეალი	ესპანეთი	29	8	21
4. რენი	საფრანგეთი	24	7	17
5. მან. იუნაიტედი	ინგლისი	24	9	15
6. ბაიერნი	გერმანია	23	7	16
7. სოშო	საფრანგეთი	22	12	10
8. სოსიედადი	ესპანეთი	21	14	7
9. ატალანტა	იტალია	21	5	16
10. ატლეტიკო	ესპანეთი	21	7	14
11. ბორდო	საფრანგეთი	20	9	11
12. შალკე	გერმანია	20	5	15
13. არსენალი	ინგლისი	20	6	14
14. ბილბაო	ესპანეთი	19	16	3
15. მონაკო	საფრანგეთი	19	-	19
16. მონპელიე	საფრანგეთი	18	12	6
17. რომა	იტალია	18	3	15
18. შტუტგარტი	გერმანია	18	5	13
19. მილანი	იტალია	17	4	13
20. ვალენსია	ესპანეთი	17	4	13
21. ესპანიოლი	ესპანეთი	16	3	13
22. სენტ ეტიენი	საფრანგეთი	16	6	10
23. ჰერტა	გერმანია	16	-	16
24. იუვენტუსი	იტალია	16	4	11
25. ბოკა ხუნიორსი	არგენტინა	15	-	15
26. ასტონ ვილა	ინგლისი	15	8	7
27. მიუნხენი	გერმანია	15	-	15
28. ლე ავრი	საფრანგეთი	15	-	15
29. ტოტენჰემი	ინგლისი	15	8	7
30. ოსერი	საფრანგეთი	14	-	14

■ ამ ცხრილში პირველი უცნაურობა, რაც თვალში მოგხვდებათ, „მონაკოა“, - როგორც ხედავთ, მისი 19 აღზრდილი სხვა კლუბებში თამაშობს. ეს იმიტომ, რომ თავად „მონაკომ“ დაკარგა ადგილი ლიგა 1-ში.

■ 30-ეულში ვერ მოხვდნენ, თორემ ასეთი გუნდები კიდევ არიან: „ჰერტა“ (16 გაზრდილი), „მიუნხენი“ და „ლე ავრი“ (15-15).

■ არაევროპული კლუბებიდან ევროპის ტოპ-5 ლიგას ფეხბურთელებით ყველაზე უკეთ არგენტინული „ბოკა ხუნიორსი“ ამარაგებს - 15 ფეხბურთელი. 13 ფეხბურთელია „რივერ პლეიტის“ გაზრდილი, მათში არ შედის „ატლეტიკოს“ კოლუმბიელი ფორვარდი **რადამელ ფალკაო**, რომელმაც ახალგაზრდულ ასაკში მხოლოდ 2,5 წელიწადი ითამაშა არგენტინულ გრანდში.

■ ისეთი ევროპული კლუბებიდან, რომელიც ტოპ-5-ში არ შედის, რა თქმა უნდა, ამსტერდამის „აიაქსია“ გამორჩეული - 13 აღზრდილი.

■ ყველაზე მეტი საკუთარი აღზრდილი „ბილბაოს“ ჰყავს - 16. პრინციპში, საკვირველი უფრო ისაა, რომ მათი რიცხვი მეტი არაა, კლუბის საყოველთაოდ ცნობილი პოლიტიკის გამო. 14-14 საკუთარი აღზრდილი თამაშობს მხოლოდ „რეალ სოსიედადში“ და „ბარსელონაში“.

მანჩესტერული ისტორია: რუნი და რონალდო სანახევროდ წითელი ეშმაკების გაზრდილები არიან

სამაგალითოდ ავიღოთ „მანჩესტერ იუნაიტედი“, რომელმაც ტოპ-5 ლიგას ყველაზე მეტი ფეხბურთელი აღუზარდა - 24. აქედან 9 ისევ „იუნაიტედში“ თამაშობს (**სქოულზი, გიგზი, ქლევერლი, ევანსი, უელბეკი** და სხვა), 15 კი სხვადასხვა კლუბშია გაფანტული, **ფილ ნევილიდან** (ევერტონი) **კირან რიჩარდსონამდე** (ფულჰემი), ორი მათგანი საზღვარგარეთ თამაშობს (მაგალითად, **პოლ პოგბა** „იუვენტუსშია“). 24-დან 4 ფეხბურთელი „იუნაიტედისა“ და სხვა კლუბის აღზრდილად ითვლება: ძმები და სილვები, უეინ რუნი და... კრიშტიანო რონალდო! დიახ, რონალდომ 15-21 წლების ასაკში 3 და მეტი სეზონი გაატარა კლუბში.

სხვათა შორის, პრემიერლიგაში მოთამაშე რამდენიმე კლუბზე მეტი ფეხბურთელი აღუზარდა ტოპ-5-ის ლიგებს „ლიდს იუნაიტედმა“ - 7. სიტყვაზე, „ნორვიჩმა“ მხოლოდ 3 ფეხბურთელი აღზარდა.

დაბოლოს

■ “CIES საფეხბურთო ობსერვატორია“ უფრო დიდ საქმეს არის შეჭიდებული, ეს ორგანიზაცია ახლა იკვლევს 11,5 ათასი ფეხბურთელის, ევროპის ტოპ-31 ლიგის მონაცემებს. შედეგები და ანალიტიკა კი იანვარში გამოქვეყნდება.

■ მხოლოდ თითო ფეხბურთელი 470-მა კლუბმა აღზარდა, 2-2 - 115-მა; 3-3 - 61-მა.

■ სამწუხაროდ, ევროპის ტოპ-5 ლიგაში ერთი ფეხბურთელიც კი არ თამაშობს, რომელსაც შეიძლება ეწოდოს ქართული კლუბის აღზრდილი.

ნიკოლოზ ნეფარიძე

ამბები

ვიეირინიამ ვოლფსბურგში იმედები ვერ გაამართლა

ვიეირინია პაოკ-ში დაბრუნდება

„ბილდის“ ინფორმაციით, ფაქტობრივად გადაწყვეტილია, რომ „ვოლფსბურგის“ ნახევარმცველი **ვიეირინია** პაოკ-ში დაბრუნდება. ჩვენი გერმანელი კოლეგების ცნობით, ბერძნული კლუბი მზადაა, 26 წლის ყოფილ ფეხბურთელში „ვოლფსბურგს“ 2.5 მილიონი ევრო გადაუხადოს და საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ „ვოლფების“ სპორტული დირექტორი **კლაუს ალოფსი** ამ წინადადებას დათანხმდება. ალოფსმა პაოკ-თან მოლაპარაკებები დაადასტურა.

შეგახსენებთ, რომ ვოლფსბურგელებმა ვიეირინია პაოკ-იდან ზუსტად ერთი წლის წინ, 4 მილიონ ევროდ შეიძინეს. მაშინ „მგლების“ მწვრთნელი და მენეჯერი **ფელიქს მაგათი** გახლდათ. მას მერე ვიეირინიამ „ვოლფსბურგში“ მხოლოდ 22 მატჩში მიიღო მონაწილეობა და 3 საგოლე პასი გააკეთა. ეს უკანასკნელი ალოფსის და „მგლების“ ახალი მწვრთნელის, **დიტერ ჰეკინგის** სამომავლო გეგმებში ვერ ჯდება. აქვე გეტყვით, რომ „ვოლფებმა“ ჰეკინგი ახალი მწვრთნელის რანგში ოფიციალურად გუშინ წარადგინეს.

მუნტეანუ რუსეთში იმუშაებს

რუმინეთის ნაკრების რეკორდსმენი **დორინელ მუნტეანუ** რუსული კლუბის, სარანსკის „მორდოვიას“ მთავარ მწვრთნელად დაინიშნა. ეს ინფორმაცია სარანსკელებმა გუშინ ოფიციალურად დაადასტურეს. 44 წლის მუნტეანუმ, რომელიც სულ რაღაც ოთხი კვირის წინ დაინიშნა ბუქარესტის „დინამოს“ თავკაცად, სარანსკელთა კლუბში ნოემბერში გათავისუფლებული **ფიოდორ ჩერბაშენკო** შეცვალა. მისი თქმით, უცხოეთში მუშაობის იმდენად დიდი სურვილი ჰქონდა, რომ ბუქარესტული კლუბიდან ერთ თვეში წასვლა გადაწყვიტა, რათა რუსეთის ჩემპიონატის აუტსაიდერში ემუშავა. „მორდოვია“ 19 ტურის შემდეგ ბოლო ადგილზეა და მხოლოდ 9 ქულა აქვს. აღსანიშნავია, რომ მუნტეანუ მეორე რუმინელი სპეციალისტია, რომელიც რუსეთში იმუშავებს. როგორც იცით, მოსკოვის „დინამოს“ მისი თანამემამულე **დან პეტრესკუ** წვრთნის.

შტუტგარტი: აღიოს, მასა!

ფრანსისკო ხავიერ როდრიგეს პინედო, ანუ **მასა** „შტუტგარტს“ ტოვებს და სამშობლოში ბრუნდება. 31 წლის მცველი მექსიკურ „კლუბ ამერიკას“ ყველაფერზე მოურიგდა. *„მასა უკვე თავის მომავალ კლუბში ვარჯიშობს. მართალია, კონტრაქტი ჯერ არ გაფორმებულა, მაგრამ ეს ამ დღეებში ნამდვილად მოხდება,“* - ტრანსფერი „შტუტგარტის“ მენეჯერმა **ფრედი ბობიჩმა** გუშინ დაადასტურა. მასა შვაბენლანდურმა კლუბმა წლინახევრის წინ ჰოლანდიური „ეინდჰოვენიდან“ 1.5 მილიონ ევროდ იყიდა. მექსიკელს „შტუტგარტთან“ კონტრაქტი 2014 წლამდე აკავშირებდა. მექსიკაში დაბრუნება მან იმიტომ გადაწყვიტა, რომ „შტუტგარტის“ ძირითად შემადგენლობაში ველარ ხვდებოდა - შვაბთა თავკაცი **ბრუნო ლაბადია გეორგ ნიდერმაიერს** ანიჭებს უპირატესობას.

ჰოლტბიმ შალკეს ზურგი აქცია

ლუის ჰოლტბის შესახებ გუშინდელ ნომერშიც ვწერდით, ახლა კი გაირკვა, რომ 22 წლის შემტევი ნახევარმცველი „შალკესთან“ ახალ კონტრაქტს არ გააფორმებს, ანუ გელზენკირხენული კლუბიდან ან იანვარში წავა, თუ არა და ზაფხულში „შალკეს“ მისი უფასოდ დათმობა მოუწევს. „შალკეს“ მენეჯერ **ჰორსტ ჰელდტის** თქმით, კლუბს მისი ზაფხულამდე შენარჩუნება სურს. შეგახსენებთ, რომ გავრცელებული ცნობების თანახმად, ჰოლტბის გადაბირებაზე რამდენიმე ინგლისურ კლუბთან ერთად, მიუნხენის „ბაიერნის“ ხელმძღვანელებიც ფიქრობენ.

გოტფრიდ ლენცი

ლუის ჰოლტბი

ᲚᲝᲒᲕᲜᲓ ᲪᲕᲒᲣᲠᲘᲐᲡ ᲓᲐ ᲗᲘᲛᲣᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲯᲣᲚᲘᲚᲘ

ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲡᲐᲛᲣᲠᲐᲔᲑᲘ

ᲒᲐᲒᲐᲛᲐᲠᲣ, ᲨᲐᲕᲘ ᲖᲦᲕᲐ ᲓᲐ... ᲙᲘᲓᲔᲕ ᲡᲮᲕᲐ

ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲓᲦᲔ, ᲡᲐᲛᲨᲝᲚᲝᲨᲘ ᲘᲛᲧᲝᲤᲔᲑᲘᲐᲜ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲣᲚᲘ ᲡᲣᲛᲝᲡ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲓᲘᲓᲝᲡᲢᲐᲢᲔᲑᲘ - ᲚᲔᲕᲐᲜ ᲪᲐᲒᲣᲠᲘᲐ (ᲓᲐᲘᲑᲐᲓᲐ 1981 ᲬᲚᲘᲡ 10 ᲛᲐᲠᲢᲘ ᲡᲮᲝᲢᲜᲘᲗᲘ), ᲘᲒᲘᲕᲔ ᲙᲝᲯᲐᲜᲘ („ᲨᲐᲕᲘ ᲖᲦᲕᲐ") ᲓᲐ ᲗᲘᲛᲣᲠᲐᲖ ᲯᲣᲚᲘᲚᲘ (ᲓᲐᲘᲑᲐᲓᲐ 1987 ᲬᲚᲘᲡ 23 ᲗᲔᲑᲔᲠᲕᲐᲚᲘ ᲗᲘᲠᲯᲝᲚᲐᲨᲘ), ᲐᲜᲣ ᲠᲝᲒᲝᲠᲘᲪ ᲛᲐᲡ ᲫᲔᲫᲮᲘᲐᲜ ᲡᲣᲛᲝᲡ ᲡᲐᲛᲐᲠᲐᲜᲘ - ᲒᲐᲒᲐᲛᲐᲠᲣ.
ᲒᲣᲨᲘᲜ ᲡᲣᲞᲐᲠᲬᲘᲜᲝᲡ ᲐᲗᲔᲚᲘᲔᲑᲘ ᲒᲐᲖᲦᲝ „ᲚᲔᲚᲝᲡ" ᲘᲡᲢᲣᲛᲠᲔᲜ ᲓᲐ ᲡᲘᲐᲛᲝᲕᲜᲔᲑᲘᲗ ᲣᲞᲐᲡᲣᲮᲣᲚᲘ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲨᲔᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲑᲘ. ᲣᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘᲡᲐᲓ, ᲪᲮᲐᲓᲘᲐ, ᲗᲘᲛᲣᲜᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲒᲖᲐᲜᲢᲔᲠᲔᲡᲐ.

ᲙᲝᲯᲐᲜᲘ: ᲩᲔᲛᲘ ᲛᲔᲢᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲨᲔᲠᲩᲛᲔᲑᲘᲡ ᲐᲠ ᲛᲘᲛᲐᲒᲔᲑᲘ - ᲔᲡ ᲙᲚᲣᲑᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘᲡ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐᲢᲘᲐᲐ. ᲘᲐᲞᲝᲜᲘᲐᲨᲘ ᲠᲝᲛ ᲩᲐᲕᲘᲓᲔᲓ, ᲩᲔᲛᲘ ᲙᲚᲣᲑᲘᲡ ᲗᲐᲕᲯᲐᲓᲝᲛᲐ ᲛᲘᲛᲐᲒᲔᲑᲘ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐᲡ ᲘᲫᲘᲜᲔᲑᲓᲐ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲞᲘᲜᲔᲠᲘ ᲣᲙᲕᲔ ᲒᲕᲘᲐᲒᲐᲡ ᲐᲮᲚᲝᲡᲔᲑᲘᲗ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲘᲗ ᲓᲐᲛᲔᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲘᲗ.

ᲒᲐᲒᲐᲛᲐᲠᲣ: ᲑᲐᲫᲕᲝᲑᲜᲐᲓᲐᲜ ᲡᲐᲛᲝᲡ ᲓᲐ ᲫᲘᲣᲓᲝᲡ ᲒᲕᲭᲘᲓᲐᲝᲓᲘ. ᲗᲣᲛᲪᲐ ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲠᲐᲛᲓᲐᲜᲘᲗᲐᲠᲘ ᲐᲠ ᲛᲥᲝᲜᲘᲐ. ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲣᲛᲝᲡ ᲤᲔᲓᲔᲠᲐᲪᲘᲐᲛ ᲨᲔᲛᲘᲛᲝᲛᲐᲪᲘᲐ ᲐᲠ ᲛᲘᲦᲝᲡ. ᲛᲘᲛᲪᲐ ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲠᲐᲛᲓᲐᲜᲘᲗᲐᲠᲘ ᲐᲠ ᲛᲥᲝᲜᲘᲐ. ᲛᲔᲪ ᲑᲔᲓᲘ ᲛᲘᲜᲓᲐ ᲨᲔᲜᲗᲕᲘᲡ ᲖᲝᲒᲐᲓᲘ ᲘᲧᲝ. ᲛᲐᲠᲗᲚᲐ ᲒᲐᲛᲝᲩᲜᲓᲐ ᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲘ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘᲡ ᲛᲝᲫᲒᲐᲛᲝᲩᲜᲘᲗ ᲓᲐᲛᲐᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲘᲗ ᲠᲗᲣᲚᲘ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲨᲔ. 18 ᲬᲚᲘᲡᲐᲛ ᲢᲝᲙᲘᲝᲛᲘᲡ ᲛᲝᲛᲯᲐᲠᲣᲚᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ ᲞᲘᲠᲯᲔᲚᲝᲜᲐᲖᲔ ᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲐᲓᲒᲚᲘᲡ ᲓᲐᲘᲙᲐᲕᲘ ᲐᲑᲚᲝᲚᲣᲢᲣᲠᲘ ᲩᲝᲜᲝᲜᲘ ᲙᲐᲢᲔᲒᲝᲠᲘᲐᲨᲘ, ᲒᲣᲜᲒᲣᲠᲘᲩᲘ ᲙᲘ ᲔᲠᲩᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲓᲐᲚᲘ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲐ. ᲛᲔᲓᲐᲚᲘᲡ ᲛᲘᲦᲔᲑᲘᲗ ᲛᲘᲡᲐᲚᲛᲔᲑᲣᲚᲘ ᲔᲡ ᲛᲐᲠᲗᲚᲐᲪ ᲓᲐᲒᲠᲣᲜᲓᲐ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲞᲘᲠᲘ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ ᲨᲔᲛᲓᲔᲑᲘ ᲡᲐᲮᲚᲘᲡᲙᲐᲣᲠᲘ ᲬᲚᲘᲡ 10 ᲛᲐᲠᲢᲘ ᲡᲝᲩᲘᲡ ᲞᲘᲠᲯᲔᲚᲝᲜᲐᲖᲔ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲓᲐᲛᲞᲚᲝᲛᲐ ᲓᲐ

ეროვნული ბიბლიოთეკა

● საფრანგეთი. ლიგა 1. პირველი წრის შეჯამება

სამი მუშკეტერი

როგორც ჩანს, ევროპის წამყვანი 5 ჩემპიონატიდან საფრანგეთის პირველობა ყველაზე დაძაბული იქნება. 19 ტურის შემდეგ "პარი სენ ჟერმენს", "ლიონს" და "მარსელს" 38 ქულა აქვთ და ლიგა 1-ში ერთად ლიდერობენ. ვნახოთ, რა დადებითი და უარყოფითი მხარეები აქვთ გუნდებს და რას უნდა ველოდოთ მათგან...

პარი სენ ჟერმენი

დადებითი

1. პსჟ ბურთების უკეთესი სხვაობის გამო ლიდერობს, თანაც გუნდმა ნოემბრის კრიზისი გადალახა. ჟურნალისტების ცნობით, **კარლო ანჩელოტი** გუნდიდან წასვლის პირას იყო, ფეხბურთელები კი ორად იყვნენ გაყოფილნი: ფრანგულად მოსაუბრე მოთამაშეები იტალიურად მოლაპარაკეებს უპირისპირდებოდნენ, თუმცა ამდენი პრობლემის მიუხედავად, გუნდმა ანჩელოტის ეპოქაში საუკეთესო ფეხბურთი ითამაშა და როგორც ჩანს, ყველა პრობლემა წარსულს ჩაბარდა.

2. **ზლატან იბრაჰიმოვიჩი** (თითქმის) ყოველ წელს ხდება ჩემპიონი.

3. ანჩელოტიმ იდეალურ სისტემას მიაგნო. ზეიმის დაწყება ჯერ ადრეა, მაგრამ მას შემდეგ, რაც იტალიელმა საყვარელ ტაქტიკას უღალატა და უფრო შემტევი სტილით დაიწყო თამაში, პარიზელებმა 12 გოლი გაიტანეს, საკუთარ კარში კი ერთიც არ მიუღიათ.

ახალ განლაგებაში **ხავიერ პასტორე** მარჯვნივ დგას, **ესეკილ ლავეცი** მარცხნივ, **ჟერემი მენეზი** და ზლატანი კი შეტევაში მოქმედებენ. თითქოს კლასიკური 4-4-2-ია, მაგრამ მთლად ასე არ არის - მატჩის დროს, პასტორე და იბრა ცენტრალური ნახევარმცველების პოზიციაზე იხევენ, ხოლო შეტევაში მენეზი და ლავეცი მოქმედებენ.

4. გუნდში **ლუკას მოურა** მიდის, რომელიც პარიზელებს აშკარად გააძლიერებს.

უარყოფითი

1. გუნდიდან **ნენეს** წასვლის მიუხედავად, მაინც ბევრია ისეთი ფეხბურთელი, რომელიც დღევანდელი მდგომარეობით კმაყოფილი არ არის და ამან, შესაძლოა, კლუბში სიტუაცია არიოს. საეჭვოა, **მამადუ სახო** რეზერვისტის როლს კიდევ დიდხანს დათანხმდეს და **ტიაგო სილვა-ალექსის** დუეტის ჩრდილში ყოფნა ისურვოს. იგივე ეხება **გრეგორი ვან დერ ვიოლს**, რომელსაც პირველ წრეში ანჩელოტი იშვიათად ენდობოდა და უმეტესად **კრისტოფ ჟალეს** ათამაშებდა. **კევინ გამეირო, გიომ ოარო, მომო სისოკო** – ყველა ეს ფეხბურთელი ძირითადის იშვიათი სტუმარია, რაც მათ ამბიციებს არ უნდა აკმაყოფილებდეს.

2. რამდენად მონდომებულია ხავიერ პასტორე? არგენტინელმა ცოტა ხნის წინ განაცხადა, რომ იტალია ენატრება. და ადრე თუ გვიან, "მილანში" აუცილებლად ითამაშებს.

3. "მარსელი" ევროტურნირებზე აღარ თამაშობს, "ლიონს" ევროპის ლიგაზე უწევს გამოსვლა, სადაც რეზერვისტების გაყვანაც შეუძლია, პსჟ-ს კი ჩემპიონთა ლიგაში ურთულესი მატჩები ელის, რაც, შესაძლოა, გუნდს ლიგა 1-ში ქულების დაკარგვად დაუჯდეს.

4. გუნდი იბრაჰიმოვიჩზეა დამოკიდებული – შვედმა სამი მატჩი გამოტოვა, რომელთაგანაც პსჟ-ს არც ერთი არ მოუგია. ფორვარდის სერიოზულად დაზიანების შემთხვევაში დედაქალაქელებს დიდი პრობლემები შეექმნებათ.

ლიონი

დადებითი

1. ზეწოლა მთლიანად "პარი სენ ჟერმენზეა" – თუ პარიზელები ლიგა 1-ს ვერ მოიგებენ, ეს დიდ წარუმატებლობად შეფასდება, ხოლო თუ "ლიონი" მეორე ადგილზე გავა და ჩემპიონთა ლიგის საგზურს მიიღებს, ყველა კმაყოფილი იქნება.

2. გუნდში საოცრად კარგი განწყობაა. ახალგაზრდა და გამოცდილი ფეხბურთელები ერთად შესანიშნავად მოქმედებენ. ახალგაზრდებმა იციან, რომ მწვრთნელი მათ ენდობა და თავის გამოჩენის შანსს აუცილებლად მისცემს. **ალექსანდრ ლაკაზეტი, სამუელ უმტიტი** და **კლემან გრენიე** თანდათან გუნდის შეუცვლელ ფიგურებად ყალიბდებიან.

3. "ლიონი" ტალანტების ნამდვილი სამჭედლოა. უმტიტი, გრენიე, **გონალონი** და ლაკაზეტი უკვე ძირითადის წევრები არიან, მაგრამ "ოლიმპიკს" რეზერვში კიდევ რამდენიმე ძალიან საინტერესო ახალგაზრდა ჰყავს, მაგალითად: **რაშიდ გეზალი** და **იასინ ბენზია**. ამ ორმა ფეხბურთელმა ევროპის ლიგაზე საკმაოდ კარგად ითამაშა და დარწმუნებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ მათ სეზონის მეორე ნახევარში, ლიგა 1-შიც უფრო ხშირად ვიხილავთ.

4. **ლისანდრო ლოპესს** "ლიონთან" ერთად ჩემპიონობა არ მოუპოვებია. კაპიტანი, როგორც მოედანზე, ასევე მას მიღმა, გუნდის ნამდვილი ლიდერია. არგენტინელი ყველაფერს გააკეთებს იმისთვის, რომ ეს უსიამოვნო სერია დაასრულოს.

უარყოფითი

1. გავრცელებული ცნობების თანახმად, გუნდში ფინანსური სიტუაციის გამოსწორების მიზნით, პრეზიდენტი **ჟან-მიშელ ოლა**, იანვარში მინიმუმ ერთი ლიდერის გაყიდვას აპირებს. **ბაფეტიმბი გომისის** წასვლის შემთხვევაში, ძნელი წარმოსადგენია, "ლიონმა" ჩემპიონობისთვის იბრძოლოს.

2. **რემი ვერკუტრი** კარგი მეკარეა და მან გუნდიდან **უგო ლორისის** წასვლის შემდეგ თავი საკმაოდ კარგად წარმოაჩინა, თუმცა ის ისეთივე სტაბილური ნამდვილად არ არის. მე-17 ტურში, "ნანსისთან" გამართულ შეხვედრაში, ვერკუტრმა ბურთის მოგერიება ფეხით სცადა, არადა ხელით დაჭერაც შეეძლო – შედეგად **ჟორდან ლოტიემ** გაიტანა გოლი, რომლის წყალობითაც "ოლიმპიკმა" ძალიან მნიშვნელოვანი ორი ქულა დაკარგა.

3. **მიშელ ბასტოსი** და ლისანდრო ტრავმებს ხშირად იღებენ. ბრაზილიელმა ხუთი გოლი კი გაიტანა, მაგრამ ადრინდელივით ეფექტური ნამდვილად აღარ არის. არგენტინელსაც ტრავმის გამო დიდი დრო გაუცდა, რამაც **რემი გარდს** გარკვეული პრობლემები შეუქმნა. გუნდის ორივე სამხრეთამერიკელი ლიდერი ჯანმრთელი უნდა იყოს, თორემ "ლიონს" ძალიან გაუჭირდება.

4. ზაფხულში განხორციელებული ტრანსფერები – **სტიდ მალბრანკის** მოსვლამ აშკარად გაამართლა, მაგრამ იმავეს ნამდვილად ვერ ვიტყვით **ფაბიან მონსონსა** და **არნოლდ მვუემბაზე**. ამ ყველაფრის გამო "ლიონის" შემადგენლობა "პარი სენ ჟერმენის" "რუსტერს" აშკარად ჩამოუვარდება.

5. **იოან გურკუფი** მუდმივ თავისტკივილად იქცა. 22 მილიონ ევროდ შეძენილი ფეხბურთელი ან ცუდად თამაშობს, ან ტრავმირებულია. გურკუფი ისეთ ფორმაში რომ იყოს, როგორშიც 2009 წელს გახლდათ, "ლიონი" ჩემპიონი თავისუფლად გახდებოდა, მაგრამ "ოლიმპიკის" ქომაგთათვის სამწუხაროდ, 2009 წელი დიდი ხნის წინ იყო.

მარსელი

დადებითი

1. ზეწოლა მთლიანად "პარი სენ ჟერმენზეა" – თუ პარიზელები ლიგას ვერ მოიგებენ, ეს დიდ წარუმატებლობად შეფასდება, ხოლო თუ "მარსელი" მეორე ადგილზე გავა და ჩემპიონთა ლიგის საგზურს მიიღებს, ყველა კმაყოფილი იქნება.

2. ბოლო წლებში აფრიკის ერთა თასი "მარსელის" აქილევსის ქუსლი იყო, მაგრამ წელს განსხვავებული სიტუაციაა: **ჯორდან აიუ** განის ნაკრების განაცხადში ვერ მოხვდა, **ნიკოლას ნკულუს** კამერუნმა კი ფინალური ეტაპის საგზური ვერ მოიპოვა.

3. გუნდში ძალიან კარგი ფინანსური სიტუაციაა და როგორც ამბობენ, იანვარში **ელი ბოპს** ახალი ფეხბურთელების შესაძენი თანხა ექნება. ჟურნალისტების ცნობით, "ბორდოს" ყოფილ დამრიგებელს "ვალანსიენის" ერთ-ერთი ლიდერი, **ფუად კადირი** მოსწონს, რომელსაც ამჟამინდელ გუნდთან კონტრაქტი სეზონის ბოლოს უმთავრდება. თუ კადირის ტრანსფერი შედგა, "მარსელი" სერიოზულად გაძლიერდება.

4. მიუხედავად იმისა, რომ ტრავმის გამო შვიდი კვირა გამოტოვა, **ანდრე-პიერ ჟინიაკი** შესანიშნავ ფორმაშია. თავდამსხმელმა მე-18 ტურში "ტულუზს" გამარჯვების მომტანი გოლი გაუტანა და საკუთარ გუნდს უმნიშვნელოვანესი სამი ქულა მოაპოვებინა. **მატიო ვალბუენაც** შესანიშნავად გამოიყურება და კარიერის ერთ-ერთ საუკეთესო სეზონს ატარებს. თუ ორივე ჯანმრთელი და კარგ ფორმაში იქნება, "მარსელს" ტრიუმფზე ფიქრი სერიოზულად შეეძლება.

უარყოფითი

1. მოკლე სათადარიგო სკამი - **ჯოი ბარტონი** კლუბს კარგად შეეწყო, მაგრამ ზაფხულის სხვა შენაძენებზე იმავეს ნამდვილად ვერ ვიტყვით. **ფლორიან რასპენტინომ** მხოლოდ რამდენიმე მატჩში ითამაშა, **ლუკას მენდესს** და **კასიმ აბდალას** კი ლიგა 1-თან ადაპტაციისთვის აშკარად დრო სჭირდებათ.

2. მე-19 ტურში "სენტ ეტიენი" კი დაამარცხა, მაგრამ წინა ორი საშინაო შეხვედრა "მარსელმა" აშკარად ჩააგდო. "ლიონთან" (1:4) და "ლორიანთან" (0:3) განცდილი ორი გამანადგურებელი მარცხი "ოლიმპიკის" მომთხოვნი ქომაგისთვის შეურაცხმყოფელი იყო. ელი ბოპის შეგირდებმა შინ უფრო დამაჯერებლად უნდა ითამაშონ, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩემპიონობის შანსი ნულის ტოლი გახდება.

3. როდესაც ვალბუენას თამაში არ მისდის, "მარსელი" კრეატიულობის და მომენტების შექმნის მხრივ აშკარად მოიკოჭლებს.

4. **ლოიკ რემი** საკუთარი თავის აჩრდილია. შარშან, ფრანგი ფორვარდი ბრწყინავდა და გოლებს ხშირად იტანდა, მაგრამ მაისში მიღებული ტრავმის შემდეგ ფორმაში შესვლა ვერაფრით მოახერხა. გავრცელებული ჭორების მიხედვით, კარგი წინადადების მიღების შემთხვევაში, "მარსელი" რემის გაყიდის, მაგრამ მაშინ გუნდი დიდწილად ტრავმებისკენ მიდრეკილი ჟინიაკის გოლებზე იქნება დამოკიდებული.

● ამბები

ბელჰანდა ორ მატჩს გამოტოვებს

საფრანგეთის ჩემპიონატის მე-19 ტურში "ლილთან" გაძევებული **იუნეს ბელჰანდა** ორ თამაშს გამოტოვებს. "მონპელიეს" 22 წლის ლიდერმა წითელი ბარათი 45-ე წუთზე **ბენუა პედრეტისთან** უხეშობის გამო მიიღო. ამ დროისთვის მისი გუნდი 0:2-ს აგებდა, საბოლოოდ კი 1:4 წაგო. ამ დისკვალიფიკაციის გამო მაროკოელი საკუთარ კლუბს დაახლოებით თვენახევრით დააკლდება, რადგან ვადის გასვლის დროს ბელჰანდა სამხრეთ აფრიკაში იქნება, სადაც მაროკოს ნაკრების რიგებში აფრიკის ერთა თასზე ითამაშებს.

მეირელეშს დისკვალიფიკაცია შეუმცირეს

პორტუგალიის ნაკრების და "ფენერბაჰჩეს" ნახევარმცველი **რაულ მეირელეში** 11 მატჩის ნაცვლად მხოლოდ 4-ს გამოტოვებს. 29 წლის ფეხბურთელის დისკვალიფიკაციის მიზეზი ის ინციდენტი გახდა, რომელსიც "ფენერბაჰჩეს" და "გალათასარაის" მატჩის დროს ხოხდა. კერძოდ, მეირელეშს არბიტრის შეურაცხყოფა და შეფურთხება დასდეს ბრალად, თუმცა კადრების არაერთხელ ნახვის შემდეგ სადისციპლინო კომიტეტმა დისკვალიფიკაციის ვადის შემცირება გადაწყვიტა, რადგან მათი აზრით, ფეხბურთელმა არბიტრს სიტყვიერი შეურაცხყოფა კი მიაყენა, მაგრამ არ შეუფურთხებია.

"ფეხბურთელი მთელი ინციდენტის განმავლობაში, არბიტრს ესაუბრებოდა, ლაპარაკის დროს კი შეფურთხება ფიზიკურად შეუძლებელია," – წერია თურქეთის ფედერაციის ოფიციალურ საიტზე.

მიუხედავად ვადის შემცირებისა, საჯარიმო თანხის ოდენობა (20000 ლირა, რაც დაახლოებით 8400 ევროა) უცვლელი დარჩა.

ბასტოსს ლიონში დარჩენა სურს

მიშელ ბასტოსმა "ლიონში" დარჩენის სურვილი გამოთქვა. 29 წლის ფეხბურთელის შეძენა "ლივერპულს", "ნიუკასლს" და "ტოტენჰემს" სურთ, თუმცა თავად ბასტოსს იანვარში გუნდის დატოვება არ უნდა.

"ახლა წასვლა არ მინდა. ზაფხულში ტრანსფერი კი მოვითხოვე, მაგრამ მას შემდეგ ბევრი რამ შეიცვალა. ზამთრის არდადეგებს აქ, ლიონში გავატარებ და ფიზმომზადების მწვრთნელთან ვიმუშავებ," – განუცხადა ბასტოსმა "L'Equipe"-ს.

შეგახსენებთ, რომ ბრაზილიელმა სეზონის დასაწყისში ტრავმა მიიღო, რის გამოც საკმაოდ დიდი პერიოდი გაუცდა. სულ, პირველ წრეში ბასტოსმა 10 შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა და 5 გოლი გაიტანა.

ლერუამ კარიერა დაასრულა

პსჟ-ს, "მარსელის" და "რენის" ყოფილმა ფეხბურთელმა, 38 წლის **ჟერომ ლერუამ** კარიერის დასრულება გადაწყვიტა. შარშანდელი სეზონი ლერუამ "ევიანში" გაატარა და კლუბი ზაფხულში დატოვა. იქიდან მოყოლებული, ვეტერანი ნახევარმცველი უგუნდოდ იყო, მაგრამ მისი სამსახურით სერიოზულად არავინ დაინტერესებულა. ახლა, ლერუა მწვრთნელობის დაწყებას აპირებს, თუმცა ჯერ შემოთავაზება არ აქვს.

ჟერომ ლერუამ თამაში "პარი სენ ჟერმენში" დაიწყო, საიდანაც პარიზელთა მოსისხლე მტერ "მარსელში" გადავიდა, იქიდან კი უკან პარიზში დაბრუნდა. რამდენიმე კლუბის გამოცვლის შემდეგ კარიერის ბოლოს ყველაზე ნარმატებული პერიოდი "რენში გაატარა, სადაც 4 სეზონის განმავლობაში 127 მატჩი გამართა და 15 გოლი გაიტანა. სულ ლერუამ ლიგა 1-ში 419-ჯერ ითამაშა და 47 გოლი მითვალა.

გვერდი მოამზადა
ტატო ბაციკაძემ

ეროვნული ბიბლიოთეკა

უცხოური ფეხბურთი

● მოსაზრება

ელ შაარავი: პროგრესის მიზეზი?

მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი

სტეფან ელ შაარავი

სერია A-ს მიმდინარე გათამაშების ყველაზე დიდი აღმოჩენა **სტეფან ელ შაარავი** გახლავთ, 19 წლის თავდამსხმელი, რომელიც ბომბარდირთა სიას სათავეში უდგას. "პატარა ფარაონი" "მილანის" ლიდერად და მთავარ იმედად მოგვევლინა. "კორიერრე დელო სპორტმა" სტეფანს პირველი წრის შეჯამება სთხოვა:

"*გაორებული შეგრძნება მაქვს - გუნდის შედეგები უკეთესის სურვილს ტოვებს, პირადად ჩემი თამაშით კი მთლიანობაში კმაყოფილი ვარ. არ იფიქროთ, საკუთარი თავით აღფრთოვანებული ვიყო, უბრალოდ, არც უკმაყოფილების საბაბი მაქვს და ეს უკვე კარგია. სულ რამდენიმე თვის წინ ვერც კი წარმოვიდგენდი, რომ ბომბარდირთა სიას ჩავუდგებოდი სათავეში. სერია A-ში უამრავი ვარსკვლავი ასპარეზობს და მათ კამპანიაში პირველობა უდიდესი პატივია*".

ელ შაარავის ასეთი კითხვა დაუსვეს: "*რამ განაპირობა ასეთი პროგრესი*"? - აქვე პასუხი: "*ჩემს მაგალითზე ნათლად ჩანს, რომ გუნდებმა ახალგაზრდებს უფრო მეტი ნდობა უნდა გამოუცხადონ. მასიმილიანო ალეგრის უდიდესი მადლობელი ვარ, მაგრამ რეალურად, ჩემი ასეთი პროგრესი მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის ბრალია. დიახ, რომ არა "მილანის" ფინანსური პრობლემები, დღეს რომელიმე ნაკლებად ამბიციურ გუნდში ვიქნებოდი, ან სულაც სერია B-ში ვიასპარეზებდი, კარგ შემთხვევაში კი "მილანის" უცხოელი ვარსკვლავების დუბლიორობით მომინევდა დაკმაყოფილება. არ გვჭირდება ამდენი უცხოელი, ახალგაზრდა იტალიელ ფეხბურთელებს უნდა მივცეთ გასაქანი და ამით მხოლოდ მოვიგებთ*".

ლაშა წიკლაური

● იუვენტუსი

პელუზო თითქმის ბურინელია

7 მილიონი ლორენტეს სანაცვლოდ

ფედერიკო პელუზო

"იუვენტუსის" მესვეურები ყველანაირად შეეცდებიან, რომ სატრანსფერო პერიოდში ექსტრა-კლასის ფორვარდი გადაიბირონ. "გაძეტა დელო სპორტში" გამოქვეყნებული ინფორმაციის თანახმად, ამ მიმართულებით უკვე გადაიდგა პირველი ნაბიჯი - ტურინელები ბილბაოს "ატლეტიკის" მესვეურებს შეეხმიანენ და 27 წლის თავდამსხმელის, **ფერნანდო ლორენტეს** სანაცვლოდ 7 მილიონი ევრო შესთავაზეს. ავტორიტეტულ გამოცემაში სამართლიანად აღნიშნავენ, რომ თანხა არც ისე დიდია და წესით, ბასკებმა ამ წინადადებაზე უარი უნდა განაცხადონ... რისი იმედი აქვთ ტურინელებს? - ამაზე კლუბის სპორტული დირექტორი **ჯუზეპე მაროტა** საუბრობს:

"*ლორენტე ბრწყინვალე ფეხბურთელია და თუ მისი გადაბირება მოვახერხეთ, ძალიან კმაყოფილი ვიქნები. ბასკებთან კონტაქტი შედგა, მაგრამ შეთანხმებაზე საუბარი ჯერ ადრეა. ბილბაოელებს ფერნანდოს ზაფხულში გაყიდვა სურთ, ჩვენ კი ფორვარდი იანვრიდან გვჭირდება. მოკლედ, ბევრ საკითხზე ვართ შესათანხმებლები. თანხა? - ჯერ ადრეა ამაზე ლაპარაკი და მოდით, ნუ ვიჩქარებთ. ყველა კითხვას უახლოეს მომავალში გაეცემა პასუხი*".

ამასობაში, "გაძეტას" **კლაუდიო მარკიზიო** გაესაუბრა და "იუვეს" სატრანსფერო კამპანიაზე საკუთარი მოსაზრებები გამოთქვა. მაგალითად, როდესაც **მარიო ბალოტელის** "იუვეში" შესაძლო გადაბარგების შესახებ დაუსვეს კითხვა, აშკარად შეეტყო, რომ მოვლენათა ასეთი განვითარების მომხრე არ არის:

"*ბოლო დღეებში მარიო ბალოტელის გადმობარგების შესახებ ბევრი ითქვა, თუმცა არა მგონია, ეს სიმართლეს შეეფერებოდეს. რატომ? - კლუბში ამის შესახებ არაფერს ამბობენ და პრესა რომ ხშირად ცდება, ეს ყველამ ვიცით, ბალოტელი უნიჭიერესი ფეხბურთელია, მაგრამ მეეჭვება, რომ "იუვეში" კარგად ჩაეწეროს. უფრო ისეთი გუნდი სჭირდება, სადაც თავდასხმაში ნაკლები კონკურენციაა და ძირითად შემადგენლობაშიც იოლად დაიმკვიდრებს ადგილს. ითქვა დანიელე დე როსის შესახებაც და ესეც ჭორი მგონია. დანიელე "რომას" სიმბოლოა და არა მგონია, ოდესმე "ტრიგორია" დატოვოს. ისე, დე როსის გადმოსვლა ძალიან გამახარებდა, რადგან მასთან ახლო მეგობრობა მაკავშირებს - ერთად გავიარეთ ახალგაზრდული ნაკრები, როდესაც ჩვენი ფეხბურთელებად ჩამოყალიბების პროცესი მიმდინარეობდა*".

კიდევ ერთი სიახლე "იუვენტუსის" ბანაკიდან, რომლის თანახმადაც ტურინულმა გრანდმა პრაქტიკულად გაჩარხა პირველი ტრანსფერი... თუ რაიმე გაუთვალისწინებელი არ მოხდა, იანვრიდან "ვეკია სენიორას" ღირსებას **ფედერიკო პელუზო** დაიცავს. 28 წლის მცველი "ატალანტაში" ირიცხება და მიმდინარე სეზონში შესანიშნავად ასპარეზობს, რაც თვით იტალიის ეროვნული ნაკრების მთავარ მწვრთნელს არ გამოპარვია. პელუზომ "სკუადრა აძურაში" სამი შეხვედრა ჩაატარა და **ჩეზარე პრანდელის** მოწონება დაიმსახურა. ფედერიკო მარცხენა მცველია და დიდი მიხვედრილობა არ სჭირდება, რომ "იუვეში" **ჯორჯო კიელინი** უნდა შეცვალოს. ამ უკანასკნელმა მძიმე ტრავმა მიიღო და დაახლოებით სამი თვე უფეხბურთოდ მოუწევს ყოფნა.

ლაშა წიკლაური

● სავარაუდო ტრანსფერი

ასტორი ნაპოლის მიუახლოვდა

დავიდე ასტორი

მას შემდეგ, რაც **პაოლო კანავარომ** ნახევარწლიანი დისკვალიფიკაცია მიიღო, "ნაპოლის" მესვეურები ცენტრალური მცველის შეძენაზე დაფიქრდნენ. რაც მთავარია, გადადგეს ამ მიმართულებით ნაბიჯები და თუ იტალიურ სპორტულ პრესას ვენდობით, შედეგსაც მიაღწიეს. "გაძეტა დელო სპორტის" მტკიცებით, თითქმის გადაწყვეტილია, რომ იანვრიდან ნეაპოლური გუნდის ღირსებას 25 წლის მცველი, **დავიდე ასტორი** დაიცავს.

ასტორი "კალიარიში" ირიცხება, გუნდში ერთ-ერთი ყველაზე ავტორიტეტული ფიგურაა და პერიოდულად იტალიის ეროვნულ ნაკრებშიც ასპარეზობს. ერთი სიტყვით, კლასი არ დაეწუნება და კანავაროს პოტენციურ შემცვლელთა შორის უდავოდ ერთ-ერთი საუკეთესო ვარიანტია. სარდინიულ გუნდს ფინანსური პრობლემები აქვს და ამბობენ, რომ აღნიშნული ტრანსფერი 6.5 მილიონ ევროდ გაიჩარხება. ვნახოთ, ყველაფერი უახლოეს დღეებში გადაწყდება.

ლაშა წიკლაური

ქართული სპორტი

● რეფერენდუმი

სპორტულმა ჟურნალისტებმა საქართველოს 2012 წლის სპორტსმენად ლაშა შავდათუაშვილი აღიარეს

საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციამ ტრადიციული გამოკითხვის შედეგად წლის საუკეთესო სპორტსმენები და გუნდები გამოავლინა.

ლაშა შავდათუაშვილი



ვლადიმერ ხინჩეგაშვილი



რევაზ ლაშხი

რეფერენდუმში ლონდონის 2012 წლის ოლიმპიადის ჩემპიონმა **ლაშა შავდათუაშვილმა** გაიმარჯვა. ახალგაზრდა ძიუდოისტმა 507 ქულა დააგროვა.

თავისუფალი სტილით მოჭიდავე **ვლადიმერ ხინჩეგაშვილი** სსჟა-ს საუკეთესო ათეულში მეორე ადგილზე გავიდა (355 ქულა), მესამე კი ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავე **რევაზ ლაშხი** იყო 340 ქულით.

წლის უძლიერეს გუნდად ჟურნალისტებმა კალათბურთელთა ეროვნული ნაკრები აღიარეს (24 ქულა), მეორე ადგილზე ძიუდოისტები გავიდნენ (14), მესამეზე კი 17-წლამდელ ფეხბურთელთა ნაკრები (7), რომელიც ევროპის ჩემპიონატზე ნახევარფინალში გავიდა.

საქართველოს 2012 წლის 10 საუკეთესო სპორტსმენი

ლაშა შავდათუაშვილი (ძიუდო) - 507

ვლადიმერ ხინჩეგაშვილი (თავისუფალი ჭიდაობა) - 355

რევაზ ლაშხი (ბერძნულ-რომაული ჭიდაობა) - 340

დავით მოძმანაშვილი (თავისუფალი ჭიდაობა) - 334

დავით მარსაგიშვილი (თავისუფალი ჭიდაობა) - 222

მანუჩარ ცხადაია (ბერძნულ-რომაული ჭიდაობა) - 189

გიორგი გოგშელიძე (თავისუფალი ჭიდაობა) - 148

ზაზა ფარულია (კალათბურთი) - 106

მამუკა გორგოძე (რაგბი) - 91

მანუჩარ მარკოიშვილი (კალათბურთი) - 85

ელენე გედევანიშვილი (ფიგურული ციგურაობა) - 84

ვარლამ ლიპარტელიანი (ძიუდო) - 83

ვიქტორ სანიკიძე (კალათბურთი) - 66

სულ დაასახელეს 44 სპორტსმენი

საუკეთესო გუნდი

კალათბურთელთა ნაკრები - 24

ძიუდოისტთა ნაკრები - 14

17-წლამდელ ფეხბურთელთა ნაკრები - 7

● თარიღები და მოვლენები

29 – 30 დეკემბერი

29. XII. 1914 წ. დაიბადა **გაიოზ ჯეჯელავა** — ფეხბურთი. გარდაიცვალა 2005 წელს.

29. XII. 1920 წ. დაიბადა **დავით ჩირაძე** — ჭადრაკი, მწვრთნელი. გარდაიცვალა 1987 წელს.

29. XII. 1929 წ. დაიბადა **გალინა შარაბიძე** (მინაიჩევა) — სპორტული ტანვარჯიში.

29. XII. 1971 წ. დაიბადა **მურთაზ თურქია** — სამბო.

29. XII. 1982 წ. დაწესდა **„ვ. დარასელიას** სახელობის პრიზი" ყოველწლიურად ფეხბურთში საქართველოს ჩემპიონატის საუკეთესო დებიუტანტის დასაჯილდოებლად.

30. XII. 1922 წ. დაიბადა **ავთანდილ ღოღობერიძე** — ფეხბურთი. გარდაიცვალა 1980 წელს.

30. XII. 1925 წ. დაიბადა **მიხეილ ჯოჯუა** — ფეხბურთი.

30. XII. 1971 წ. დამტკიცდა სპორტის სპეციალისტების მიერ საქართველოს 1971 წლის საუკეთესო სპორტსმენთა ათეული (ანბანით): **ლ. ასატუროვა** (მშვილდოსნობა), **ნ. დრონოვა** (ტანვარჯიში), **ლ. თედიაშვილი** (თავ. ჭიდაობა), **თ. ლეკვეიშვილი** (ცურვა), **ა. მეტრეველი** (ჩოგბურთი), **ა. მოშიაშვილი** (მძლეოსნობა), **ტ. ჟღენტი** (სასტენდო სროლა), **ზ. საკანდელიძე** (კალათბურთი), **დ. შანიძე** (ძალოსნობა), **მ. ხურცილავა** (ფეხბურთი).

ხელმომწერთა საყურადღებოდ!

ხელმოწერის გამარტივებული პროცესი, დროული და გარანტირებული მიწოდება.

დარეკეთ: 238 26 73; 238 26 74.

კვირის გარდა.

ქართული სპორტი

● ძიუდო. ნაკრები

კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე - ირაკლი უზნაძე

ნაკრები უზნაძის მოარგეს

როგორც ჩანს, ვაუ ძიუდოისტთა ნაკრების მთავარი მწვრთნელის საკითხი საბოლოოდ გაირკვა - როგორც გუშინ ძიუდოს ფედერაციის პრეზიდენტმა **დავით ქევხიშვილმა** გვითხრა, თითქმის გადაწყვეტილია, რომ ამ პოსტს **ირაკლი უზნაძე** დაიკავებს, რომელსაც **გიორგი ვაზაგაშვილი** დაეხმარება. ფედერაცია ამ ამბის გუშინვე გახმაურებას აპირებდა, მაგრამ საბოლოოდ ეს საქმე მაინც საახალწლოდ გადადო.

ნაკრების მთავარი მწვრთნელის საკითხი ქართულ ძიუდოში საჯილდაო ქვად იქცა. შესაბამისად, ხმებიც მსოფლიოსა და ოლიმპიურ ჩემპიონ **ირაკლი ცირეკიძის** შეცვლის თაობაზე ადრევე გავრცელდა, ხოლო მის სავარაუდო შემცვლელებად უზნაძის გარდა იგივე ვაზაგაშვილი და **გიორგი ბაინდუროვიც** განიხილებოდნენ, რომელიც ნოემბერში სამბოში მსოფლიოს ჩემპიონი გახდა, გუშინვე კი სამბოს ფედერაციამ წლის საუკეთესო სამბისტადაც დაასახელა. ეს სამეული რომ რეალურად განიხილებოდა, გუშინ ძიუდოს ფედერაციაშიც დაგვიდასტურეს, საბოლოოდ კი უზნაძე დაასახელეს. თუმცა ქართულ ძიუდოში მოვლენები იმდენად არაპროგნოზირებადი სცენარით ვითარდება, არ გამოვრიცხავთ, ოფიციალურად გამოცხადებამდე რაღაც კიდევ შეიცვალოს.

ჯერჯერობით გაურკვეველია **ირაკლი ცირეკიძის** საკითხი. არაა გამორიცხული, ის ჭაბუკებში ვიხილოთ, თუმცა ჯერ არც მათი მთავარი მწვრთნელის შეცვლაა გარკვეული. სადღეისოდ ფედერაცია გადაჭრით მხოლოდ იმას ამბობს, რომ ამ ეტაპზე არ იგეგმება ახალგაზრდული ნაკრების მთავარ მწვრთნელ **გია გუგავას** შეცვლა.

ირაკლი უზნაძე 1972 წელს დაიბადა თბილისში, თუმცა კარიერა თურქეთში გაატარა და იქაურთა სახელით 2002 წელს ევროპის ჩემპიონიც გახდა, სამჯერ კი იმავე რანგის პირველობაზე ბრინჯაო მოიპოვა. ამასთან, არის რამდენიმე პრესტიჟული ტურნირის გამარჯვებული და მედალოსანი. ის ერთ-ერთი პირველი ნავიდა საზღვარგარეთ კარიერის გასაგრძელებლად, თუმცა ამან შედარებით უხმაუროდ ჩაიარა, რადგან წინააღმდეგობის მთელი ნიაღვარი უკვე გადავლილი იყო იმავე თურქეთში გადასულ მშვილდოსან **ნატო ნასარიძის** და საბერძნეთში გახიზნულ ძალოსან **კახი კახიაშვილის** მხრებზე. უზნაძე 1996 წელს ატლანტას ოლიმპიურ თამაშებშიც მონაწილეობდა, სადაც მეშვიდეზე გავიდა. სწორედ იმ ოლიმპიადას უკავშირდება ჩვენთვის საინტერესო ერთი ამბავი, როცა ოლიმპიურ ფორმაზე ქვეყნის აღმნიშვნელი წარწერა საიზოლაციო ლენტით გადაფარა. სპორტული კარიერის დასრულების შემდეგ ის მწვრთნელად მუშაობდა თურქეთში, რამდენიმე წლის წინ კი საქართველოში დაბრუნდა სამუშაოდ. პერიოდულად მუშაობდა სხვადასხვა ასაკობრივ ნაკრებებში, ბოლო პერიოდში კი 1999-2000 წლებში დაბადებულთა მოსამზადებელ პროგრამას ხელმძღვანელობდა ბიჭებშიც და გოგოებშიც, ეს კი ის ასაკია, რომელიც „თბილისი-2015“ ფესტივალისთვის ემზადება.

ქევხიშვილის თქმით, ნაკრების სამწვრთნელო შტაბში სხვა რეფორმებიც იგეგმება. კერძოდ, დაგეგმილია, რომ მთავარმა მწვრთნელმა კიდევ ერთი მწვრთნელი დაიხმაროს, ოღონდ კანდიდატურას თვითონ შეარჩევს. სამომავლოდ განზრახულია საკლუბო სისტემის განვითარება, ოღონდ მანამ დაინიშნება კიდევ ერთი მწვრთნელი, რომელიც ეროვნული ნაკრების უცხოეთში ყოფნის შემთხვევაში მის თავკაცთან შეთანხმებული გეგმით ავარჯიშებს ნაკრების თბილისში დარჩენილ კანდიდატებს და იზრუნებს მათ მომზადებაზე, რათა ფორმიდან არ ამოვარდნენ, არ ჩამორჩნენ საერთო რიტმს.

ფედერაცია აპირებს, მაქსიმალურად გააძლიეროს პირადი მწვრთნელის როლი და ნაკრების დამრიგებლებს აუკრძალოს პირადი მოსწავლეების ყოლა. ეს კეთდება იმისთვის, რომ ყველამ იმუშაოს, გაზარდოს ახალი კადრები და ნაკრების კართან არ იყვნენ ჩასაფრებულები რეგიონებიდან ჩამოსული ნიჭიერი ბავშვების მისათვისებლად, რაც ასე ჩვეულებრივია არა მხოლოდ ძიუდოში, არამედ სპორტის უმეტეს სახეობაში. ნაკრების დღევანდელ მწვრთნელებს მიეცემათ დრო ამ მიმართულებით ადაპტაციისთვის, დანარჩენს კი მომავალი გვიჩვენებს. ასევე განზრახულია, რომ ნაკრებთან ერთად შეკრებაზე გამოიძახონ ის პირადი მწვრთნელები რეგიონებიდან, რომლებსაც გუნდში ჰყავთ მოსწავლეები. ამით ისინი კვალიფიკაციასაც აიმაღლებენ და თან ნაკრებში მუშაობის შანსი მიეცემათ. ცხადია, იმ შემთხვევაში, თუ მათი მოსწავლეები საერთაშორისო ტურნირებში წარმატებით გამოვლენ. ფედერაცია იურიდიული მხარის მოწესრიგებასაც აპირებს და განზრახულია, ნაკრების მთავარ მწვრთნელს კონტრაქტი დაუდოს, რაც მისი პირობების შეუსრულებლობის ანუ წარუმატებლობის შემთხვევაში საკადრო ცვლილებას გააიოლებს. დებულებით განისაზღვრება პრემიების განაწილების საკითხიც მთავარსა და პირად მწვრთნელებს შორის, რაც დავის საგანი აღარ გახდება.

ირაკლი თავაძე

ჭადრაკი

● კალათბურთის ფედერაციის პრეს-რელიზი

ეროვნული ბიბლიოთეკა

შარშანდელი შემადგენლობით

კალათბურთის ფედერაციის გამგეობის სხდომაზე დაამტკიცეს ეროვნული და ასაკობრივი ნაკრებების მთავარი მწვრთნელები, ასისტენტები, ფიზიკური მომზადების მწვრთნელები, ექიმები, ფიზიოთერაპევტები, გენერალური მენეჯერები და ასაკობრივი ნაკრებების სპორტული დირექტორები.

საქართველოს ეროვნული ნაკრები

იგორ კოკოშკოვი - მთავარი მწვრთნელი
ჯეისონ სტოდტი - მთავარი მწვრთნელის ასისტენტი
დავით უსტიაშვილი - მთავარი მწვრთნელის ასისტენტი
კოტე ტულუში - მთავარი მწვრთნელის ასისტენტი
სანდრო ბერაკარდინო - ფიზიკური მომზადების მწვრთნელი
ავთანდილ ბერიძე - ფიზიკური მომზადების მწვრთნელი
თემურ ყიფშიძე - ექიმი
თემურ ხვედელიძე - ექიმი
ზაქრო ჯვარიძე - ფიზიოთერაპევტი
ზურაბ სულეიმანაშვილი - ფიზიოთერაპევტი
პაატა ლოგუანიძე - გენერალური მენეჯერი
გივი სანაძე - მენეჯერი

საქართველოს ასაკობრივი ეროვნული ნაკრებები

გელა წულაძე - ასაკობრივი ნაკრებების სპორტული დირექტორი
გივი სანაძე - ასაკობრივი ნაკრებების გენერალური მენეჯერი

საქართველოს 20-წლამდელთა ეროვნული ნაკრები

დავით უსტიაშვილი - მთავარი მწვრთნელი
არჩილ ულენტი - მთავარი მწვრთნელის ასისტენტი
ავთანდილ ბერიძე - ფიზიკური მომზადების მწვრთნელი
ზურაბ იოსელიანი - ექიმი
შალვა ონიანი - მენეჯერი

საქართველოს 18-წლამდელთა ეროვნული ნაკრები

მიხეილ ბერუაშვილი - მთავარი მწვრთნელი
ზაზა გაგისონია - მთავარი მწვრთნელის ასისტენტი
დიმიტრი ჟაკობოვი - მთავარი მწვრთნელის ასისტენტი
მალხაზ ლოგუანიძე - ფიზიკური მომზადების მწვრთნელი
ზურაბ ჯანიკაშვილი - ექიმი
გიორგი გუცხრიკიძე - მენეჯერი

საქართველოს 16-წლამდელთა ეროვნული ნაკრები

გია კაზანჯიანი - მთავარი მწვრთნელი
ირაკლი ტომარაძე - მთავარი მწვრთნელის ასისტენტი
გიორგი ნიკოლაძე - მთავარი მწვრთნელის ასისტენტი
დავით ჩარგეიშვილი - ფიზიკური მომზადების მწვრთნელი
ვლადიმერ მგელაძე - ექიმი
შოთა გენდელიანი - მენეჯერი

● ანალიზი

რატომ შერმადინი?

გიორგი: არც დავფიქრებულვარ

ორშაბათს ქართული კალათბურთის ისტორიაში კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ტრანსფერი განხორციელდა: ევროლიგის მოქმედმა ჩემპიონმა ბერძნულმა „ოლიმპიაკოსმა“ ისრაელის „მაქაბიდან“ **გიორგი შერმადინი** გადაიყვანა. 216 სმ სიმაღლის ქართველი ცენტრი ახალ კლუბს ევროლიგაზე „კახა ლაბორალთან“ სტუმრად გამართულ შეხვედრაში (82:74 ესპანელთა სასარგებლოდ) ვერ დაეხმარა, რადგან სწორედ იმ დღეს გადაფრინდა თელ-ავივიდან საბერძნეთში. აეროპორტში გიორგის ბერძენი ჟურნალისტები დახვდნენ და მცირე კომენტარიც ჩაიწერეს:

- ძალიან მიხარია საბერძნეთში დაბრუნება. როცა წინადადება „ოლიმპიაკოსისგან“ მივიღე, არც დავფიქრებულვარ. ასეთ გუნდში თამაში მეტად საინტერესოა. ვიმედოვნებ, მიმდინარე სეზონში „ოლიმპიაკოსის“ წარმატებებში მეც შევიტან წვლილს.

შერმადინი ესპანეთიდან დაბრუნებულ გუნდთან პირველ ვარჯიშს დღეს, 29 დეკემბერს გამართავს. უახლოესი მატჩი კი 4 იანვარს იგეგმება - „ოლიმპიაკოსი“ ევროლიგაზე თურქულ „ბეშიქთაშს“ მიიღებს.

რატომ შერმადინი?

ბერძნულ პრესაში გიორგის გვარი მხოლოდ საინფორმაციო ხასიათის სტატიებში როდი გაჩნდა, მასზე საინტერესო ანალიტიკური წერილი გამოქვეყნდა გამოცემა „სპორტ 24-ში“:

„რატომ გადავიდა შერმადინი „ოლიმპიაკოსში“? მიზეზი მარტივია - პირეოსელებს მაღალი, ძალიან მაღალი კალათბურთელი სჭირდებოდათ. **ჯოშ პაუელს** შესანიშნავი ტექნიკა აქვს, **კაილ ჰაინსს** მარტოს შეუძლია „კვიპროსის დალაშქვრა“, მაგრამ ვერც ერთს ვერ ვუწოდებთ დიდი ტანის კალათბურთელს. არადა, ევროლიგის კლუბებს, „ბარსელონას“, „რეალს“, ცსკა-ს, „ულაგირისს“, „ეფესსა“ და სხვებს ძლიერი ტანმაღალი მეფარეები ჰყავთ, რომელთა სიმაღლე 213 სანტიმეტრს აღემატება. როგორც ამერიკელები ამბობენ, „სიმაღლეს ვერავის ასწავლი“, ეს ბუნებრივია.

სეზონის მსვლელობისასაც დავრწმუნდით, რომ „ოლიმპიაკოსს“ სჭირდებოდა ტანმაღალი „ფარი“, რომელიც საჰაერო იერიშისას, მძლავრ რაკეტას გააუვნებელჰყოფდა. ამასთან, იგი კვალიფიციური უნდა ყოფილიყო. მეხუთე ნომრის პოზიციაზე მაკედონიელი **პერო ანტიჩი** ირჯებოდა, რომელიც უფრო მძიმე ფორვარდია. მას დიდი მოცულობის სამუშაოს შესრულება უწევდა...

რაც შეეხება გიორგი შერმადინს, იგი დაცვაშიც სასარგებლოა, სწრაფი ნაბიჯი აქვს, გრძელი ხელებით მოხსნაც შეუძლია და სროლის სიზუსტეც არ დაეწუნება. იგი დიდებულია საჯარიმოების ტყორცნისას და კარგად ასრულებს „პიკ ენდ როლს“. შერმადინის ეს თვისება „ოლიმპიაკოსს“ ძალიან უნდა გამოადგეს, რადგან პირეოსელთა გუნდში მაღალი დონის გამთამაშებელი **ვასილის სპანულისი** თამაშობს (სხვათა შორის, რამდენიმე წლის წინათ შერმადინი და სპანულისი „პანათინაიკოსში“ თანაგუნდელები იყვნენ).

დახასიათება

გასული სეზონი ქართველი ცენტრისთვის (1989 წელსაა დაბადებული) წარმატებული გამოდგა - იტალიურ „კანტუსთან“ ერთად ევროლიგის ტოპ-16-ში ითამაშა. შერმადინი საშუალოდ 16 წუთში 10.9 ქულასა და 5 მოხსნას აგროვებდა; ორქულიანებს 56-პროცენტიანი სიზუსტით სტყორცნიდა, ხოლო საჯარიმოებს - 84-პროცენტიანით. მისი მაჩვენებლები უფრო ეფექტური ტოპ-16-ში იყო: 13.2 ქულა, 6.3 მოხსნა.

„კანტუს“ მთავარი მწვრთნელი **ანდრეა ტრინკიერი** საკუთარ ტაქტიკას გიორგი შერმადინის თამაშისას ასე უწოდებდა - „აგრესიული სამწამიანი“. „კანტუ“ განსაკუთრებით საშიში „პიკ ენდ როლებისას“ იყო.

მიმდინარე სეზონი გიორგიმ „მაქაბისთან“ დაიწყო, საშუალოდ 10 წუთში 4.8 ქულასა და 2.3 მოხსნას აგროვებდა. უნდა ითქვას, რომ შერმადინს „მაქაბიში“ აკლიმატიზირება გაუჭირდა, თავს კომფორტულად ვერ გრძნობდა. ამის თქმა საჯარიმო ტყორცნების მაგალითზეც შეიძლება: თუ შარშან სროლების 80 პროცენტზე მეტს იყენებდა, ამჯერად მაჩვენებელი 63-მდე დაეცა.

ცვლილებები

შერმადინის გამოჩენა „ოლიმპიაკოსში“ გარკვეულ ცვლილებებს გამოიწვევს. მას შეუძლია გუნდს სათადარიგოთა სკამიდანაც დაეხმაროს. 216 სმ სიმაღლის ცენტრის დამატება სავარჯიშო პროცესსაც ხარისხს შემატებს და მატჩები მეტ მრავალფეროვნებასაც განაპირობებს.

დასკვნის სახით უნდა დავწეროთ: „ოლიმპიაკოსმა“ ქართველი ცენტრის შეძენით სწორი ნაბიჯი გადადგა. რაც მთავარია, ეს არ არის ექსპერიმენტი და არ უნდა ველოდეთ მის გამართლება-არგამართლებას. შერმადინს „ოლიმპიაკოსის“ დახმარება ნამდვილად შეუძლია. „

ვაჟა სიმონიშვილი

● ქართველი უკრაინაში

დონეცკში მოგებას სხვა გემო აქვს

უკრაინის ჩემპიონატში „ბუდიველნიკმა“ „დონეცკი“ მისსავე მოედანზე დაამარცხა - 68:56. სტუმართა მთავარი მწვრთნელი, **აინარს ბაგაცკისი** ამტკიცებს, რომ კალათბურთს მხოლოდ სახელები არ თამაშობენ - შედარებით უცნობი, მაგრამ კარგად შერჩეული კალათბურთელებით ძლიერი კოლექტივის შექმნა შეიძლება. ნლეულს „ბუდიველნიკი“ მეორედ შეხვდა „დონეცკს“, რომლის ღირსებას **სონგაილა, პერკინსი, ფიშერი** და უკრაინის ნაკრების არაერთი ნევრი თამაშობს და მეორედაც დამაჯერებლად მოუგო.

გიორგი ცინცაძის თანაგუნდელებმა მესამე პერიოდში 19:10 იყოჩაღეს და როგორც აღმოჩნდა, სწორედ აქ გადაწყდა მატჩის ბედი. საქართველოს ნაკრების გამთამაშებელმა 29 წუთში 6-6 ქულა-მოხსნა და 2-2 ჩაჭრა პასი მოაგროვა. მას უშუალოდ პერკინსის წინააღმდეგ უწევდა თამაში და ამერიკელს მხოლოდ 4 ქულა ჩააგდებინა.

„ბუდიველნიკის“ ბომბარდირი კი **ლეო ლაინსი** გახდა - 15 ქულა.

ცინცაძის თანაგუნდელებს 18 გამარჯვება (5 მარცხი) აქვთ და სატურნირო ცხრილის სათავეში არიან.

ვაჟა სიმონიშვილი

ლეგიონერები

ბოლო ბრძოლები ახალი წლის წინ



დავით ქუბრიაშვილი მეტოქის მარწუხებში

საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის ელიტურ, პირველ დივიზიონში ხვალ მეორე წრის პირველი ტურის შეხვედრები გაიმართება. ქართველ მორაგბეთა გუნდები შესანიშნავად ასპარეზობენ და სატურნირო ცხრილის პირველი ხუთი საფეხური უჭირავთ. ესენია: „ტულონი“, „კლერმონი“, „ტულუზი“, „კასტრი“ და „მონპელიე“.

გათამაშებას დამაჯერებლად ლიდერობს **დავით ქუბრიაშვილის, ლევან ჩილაჩავასა** და **კონსტანტინე მიქაუტაძის** „ტულონი“. მიზანდასახულმა და შეუპოვარმა მულტიმილიონერმა **მურად ბურჯელალმა** ყველაფერი იღონა და მაინც მოახერხა ბრძოლისუნარიანი, მძლავრი გუნდის შექმნა. მისი პრეზიდენტობისას გუნდი ვარსკვლავების სიმცირეს არასდროს უჩიოდა, თუმცა საბოლოო მიზნის მისაღწევად ყოველთვის რაღაც აკლდა. ეს, როგორც აღმოჩნდა, უმაღლესი კვალიფიკაციის მწვრთნელის არყოლა ყოფილა. მას შემდეგ, რაც „ტულონს“ სათავეში საფრანგეთის ნაკრების ყოფილი თავკაცი **ბერნარ ლაპორტი** ჩაუდგა, გუნდმა სრულიად სხვა ხარისხის რაგბის თამაში დაიწყო, რაც ცხადია, შედეგსაც დაეტყო. ახლა ბურჯელალის ოცნება, გუნდი საფრანგეთის ჩემპიონი გახადოს, აუხდენელი სულაც აღარ მოჩანს.

განვლილ 13 ტურში „ტულონმა“ 11 მატჩი მოიგო და მარცხი მხოლოდ ორჯერ განიცადა. ჩვენებურთა ამ გუნდს ახლა 51 ქულა დაუგროვდა და უახლოეს მდევარ „კლერმონს“ 7 ქულით უსწრებს. მეთოთხმეტე ტურში ჩვენებურთა ეს გუნდი შინ ეთამაშება „პერპინიანს“ და გამარჯვების შემთხვევაში, რაც ძალიან ადვილად მოსალოდნელია, ლიდერის პოზიციას კიდევ უფრო განიმტკიცებს.

ქუბრიაშვილი „ტულონის“ წინასამატჩო გაფართოებულ განაცხადშია, ჩილაჩავა და მიქაუტაძე არ ითამაშებენ.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, „ტულონს“ კვალში უდგას **დავით ზირაქაშვილისა და ვიქტორ კოლელიშვილის** „კლერმონი“. „ვულკანები“ ბოლო რამდენიმე წელიწადია, ჩემპიონობას სულ ახლოს უტრიალებენ, თუმცა სანადელის ასრულება მხოლოდ 2010 წელს შეძლეს. ახალზელანდიელი მწვრთნელის **ვერნ კოტერის** თავკაცობით, „კლერმონი“ სტაბილურად ძლიერ გუნდად გადაიქცა, რომელიც არა მარტო საფრანგეთში, არამედ საერთაშორისო არენაზეც სერიოზული ანგარიშგასაწევი ძალაა. მეტიც, „ვულკანების“ დამრიგებელს შეუძლია, ჩემპიონატში ორი სხვადასხვა შემადგენლობა ათამაშოს. მაგალითად, განვლილ მე-13 ტურში „კლერმონმა“ სტუმრად „ბორდოსთან“, ფაქტობრივად, სათადარიგო შემადგენლობით იასპარეზა. ამჯერად „ვულკანების“ მეტოქე ბასკური „ბაიონია“, რომელსაც საკუთარ „მარსელ მიშელინის“ სტადიონზე უმასპინძლებს.

ბასკური გუნდი სატურნირო ცხრილის მეორე ნახევარშია და საეჭვოა, მასპინძლებს სერიოზული წინააღმდეგობა გაუწიოს. მით უფრო, რომ „კლერმონმა“ შინ ბოლოს როდის წააგო, აღარავის ახსოვს.

ზირაქაშვილი და კოლელიშვილი ჯანმრთელად არიან და, სავარაუდოდ, თამაშის საშუალება ორივეს მიეცემა.

წინა ტურში მოულოდნელად წააგო სტუმრად „გრენობლთან“ **ჯაბა ბრეგვაძისა** და **ვასილ კაკოვინის** „ტულუზმა“, რომელიც ქვეყნის მოქმედი ჩემპიონია. ფრანგული და ევროპული რაგბის გრანდმა ამ მარცხის შემდეგ სატურნირო ცხრილში მეორედან მესამე ადგილზე გადაინაცვლა.

გი ნოვეს შეგირდებმა ბოლო რამდენიმე კვირაა, თამაშის ხარისხი გააუარესეს. თუმცა, უნდა ვივარაუდოთ, რომ ეს დროებითი მოვლენაა და „ტულუზი“ ჩემპიონატის მაინც უმთავრეს ფავორიტად დარჩება. მე-14 ტურში ტულუზელებს სერიოზული გამოცდა ელით. ისინი სტუმრად ეთამაშებიან **ანტონ ფეიქრიშვილის** „კასტრს“, რომელსაც მეტოქის მსგავსად 42 ქულა აქვს და მე-4 ადგილზეა.

ამ გუნდების შეხვედრებს ერთი სპეციფიკური თავისებურება მუდამ თან ახლავს. კასტრი ხომ ტულუზის გარეუბანია. ერთი სიტყვით, მათ შორის მატჩი ერთგვარი დერბია, რომელსაც განსაკუთრებული დაძაბულობა ახლავს. მით უფრო ახლა, როცა თანაბარი ქულები აქვთ და სატურნირო ცხრილში მეზობლები არიან.

„კასტრის“ სასახელოდ უნდა ითქვას, რომ არავარსკვლავური შემადგენლობის მიუხედავად, ძალიან კარგად, სტაბილურად ასპარეზობენ და, რაც უნდა საკვირველი იყოს, ბუქმეკერები ფავორიტებად სწორედ მას მიიჩნევენ. ამაზე გავლენას, ალბათ, ის ფაქტორი ახდენს, რომ კასტრელები შინ განსაკუთრებული აღმაფრენით თამაშობენ.

ბრეგვაძე ტრავმის გამო ვერ დაეხმარება გუნდს, კაკოვინი და ფეიქრიშვილი, სავარაუდოდ, ძირითად შემადგენლობაში იქნებიან.

ქართველ მორაგბეთა ამ დუეტს ექვსი ქულით ჩამორჩება და მეხუთე ადგილზეა **მამუკა გორგოძის, გიორგი ულენტისა და მიხეილ ნარიაშვილის** „მონპელიე“. ჩვენებურთა ეს გუნდი უკვე მერამდენე წელიწადია, საფრანგეთის ჩემპიონატის ერთ-ერთ ფავორიტად ჩამოყალიბდა. წლეულს ამ დროისთვის უკეთესი შედეგის ჩვენება „მონპელიეს“ რეალურად შეეძლო, თუმცა ამაში ხელი შეუშალა „ოთხი ერის გათამაშებამ“, რომელშიც არგენტინის ნაკრები ასპარეზობს. ამის გამო ჩვენებურთა გუნდმა გათამაშების დასაწყისში ხუთი წამყვანი არგენტინელი მოისაკლისა.

ამჯერად ვითარება განსხვავებულია, თუმცა ხშირმა ტრავმიანობამ დაღი მაინც დაასვა გუნდის თამაშს. მეთოთხმეტე ტურში „მონპელიე“ შინ ეთამაშება **ზურაბ ჟვანიას** „სტად ფრანსეს“, რომელიც ბოლო ხანს კრიზისშია და ამჟამად 28 ქულით მერვე ადგილზეა.

პარიზელებმა სირთულეებს თავი ვერაფრით დააღწიეს, თუმცა დასამალი არ არის, რომ ყველა, მათ შორის საფრანგეთის რაგბის ნაციონალური ლიგაც, ხელს უწყობს. „სტად ფრანსე“ და პარიზის კიდევ ერთი გუნდი „მეტრო რასინგი“ ჩრდილოეთ საფრანგეთის რაგბის ფლაგმანები არიან და ქვეყნის ამ ნაწილში სპორტის ეს სახეობა მეტ-ნაკლებად პოპულარული რომ არის, სწორედ ამ გუნდების მეპატრონეების დამსახურებაა.

ერთი სიტყვით, მონპელიეში საკმაოდ საინტერესო თამაშის მოლოდინში არიან. მასპინძლებს დისკვალიფიცირებული მამუკა გორგოძე და ტრავმირებული მიხეილ ნარიაშვილი დააკლდებათ.

ქართველ მორაგბეთა გუნდებიდან პირველ დივიზიონში წარუმატებლად მხოლოდ ერთი, გათამაშების დებიუტანტი, **თამაზ მჭედლიძის** „მონ დე მარსანი“ ასპარეზობს. ჩვენებურის ამ გუნდმა მხოლოდ ერთი მატჩის მოგება მოახერხა და 6 ქულით ბოლო ადგილზეა. თამამად შეიძლება ითქვას, რომ მარსანელები გასავარდნად განწირულები არიან. ხვალ მათი მეტოქე ბასკური „ბიარიცი“ იქნება, რომელსაც შინ დაუპირისპირდებიან.

კიდევ ერთი ქართველი შერკინების

შეტევაში თამაზ მჭედლიძე

ბურჯის **ზაზა ნავროზაშვილის** „ბორდო“ კი სტუმრად ითამაშებს პლეი ოფში მებრძოლ „გრენობლთან“. ბორდოელებს ამჟამად თვრამეტი ქულა აქვთ და სატურნირო ცხრილში მე-12 ადგილზე არიან.

უკანა პლანზე ვიქტორ კოლელიშვილი

I დივიზიონი

XIV ტური

კლერმონი-ბაიონი, მონ დე მარსანი-ბიარიცი, გრენობლი-ბორდო, მეტრო რასინგი-აჟენი, კასტრი-ტულუზი, მონპელიე-სტად ფრანსე, ტულონი-პერპინიანი.

სატურნირო მდგომარეობა

1. ტულონი - 51 ქულა, 2. კლერმონი - 44, 3. ტულუზი - 42, 4. კასტრი - 42, 5. მონპელიე - 36, 6. გრენობლი - 34, 7. პერპინიანი - 30, 8. სტად ფრანსე - 28, 9. ბიარიცი - 28, 10. ბაიონი - 26, 11. მეტრო რასინგი - 25, 12. ბორდო - 18, 13. აჟენი - 17, 14. მონ დე მარსანი - 6.

საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის ელიტურ, მეორე დივიზიონში 12 იანვრამდე შესვენებაა. გათამაშება მე-17 ტურის მატჩებით განახლდება. იქამდე კი შეგახსენებთ, რომ საპლეიოფო მარათონში ქართველ მორაგბეთა ხუთი გუნდია ჩართული. ამათგან მონინავეთა შორის სამია.

„ქართული გუნდებიდან“ საუკეთესო მაჩვენებელი **ლევან დათუნაშვილის, გიორგი ნაცარაშვილისა** და **კარლენ ასიშვილის** „ორიაკს“ აქვს, რომელიც 49 ქულით მეორე ადგილზეა. ორიაკელებს დიდი ხანია ელიტურ, პირველ დივიზიონში არ უთამაშიათ და წლეულს წამყვანი კლუბების მარაქაში გარევის კარგი შანსი აქვთ. მართალია, „ორიაკს“ პირველადგილოსანი „ოიონაქსი“ 16 ქულით უსწრებს და, სავარაუდოდ, ვერ დაეწევა, თუმცა მერე პლეი ოფში წარმატების მიღწევის შემთხვევაში სანადელის ასრულებას შეძლებს.

„ორიაკს“ ერთი ქულით ჩამორჩება და მესამე ადგილზეა **დავით ხინჩაგიშვილის, გოდერძი შველიძისა** და **ირაკლი ნატრიაშვილის** „ბრივი“, რომელიც პირველი დივიზიონიდან შარშან გამოვარდა და ახლა უკან დასაბრუნებლად იღვწის.

ბრიველებს ორი ქულით ჩამორჩება და მეხუთე ადგილზეა **გიორგი ჩხაიძის, დავით დადუნაშვილის, ირაკლი მირცხულავასა** და **გიორგი ნემსაძის** „ტარბი“. ქართველ მორაგბეთა ეს გუნდი, მართალია, მოწინავეთა შორის არის, მაგრამ უძლიერესებში აღზევების პრეტენზია, უწინარესად ფინანსური მოსაზრებით, არ აქვს.

II დივიზიონი

XVII ტური

მასი-ოში, ექსი-ორიაკი, დაქსი-ლა როშელი, ნარბონი-კოლომიე, ბეზიელიონი, პო-ტარბი, ბრივი-კარკასონი, ალბი-ოიონაქსი.

სატურნირო მდგომარეობა

1. ოიონაქსი - 65 ქულა, 2. ორიაკი - 49, 3. ბრივი - 48, 4. პო - 48, 5. ტარბი - 46, 6. ლა როშელი - 46, 7. კარკასონი - 44, 8. ლიონი - 41, 9. ალბი - 37, 10. კოლომიე - 33, 11. ნარბონი - 31, 12. ოში - 29, 13. დაქსი - 24, 14. ექსი - 24, 15. ბეზიე - 17, 16. მასი - 16.

■ ■ ■

მეორე წრე იწყება კელტთა ლიგაშიც. საქართველოს ნაკრების მესამეხაზელის, **დიმიტრი ბასილაიას** „ედინბურგი“ შარშანდელთან შედარებით წლეულს წარუმატებლად ასპარეზობს. ჩვენებურის გუნდმა თერთმეტ მატჩში ოთხი მოიგო, შვიდი წააგო და 21 ქულით მერვე ადგილზეა.

ედინბურგელები მე-12 ტურში შინ ეთამაშებიან „გლაზგო ვორიორზს“. ბასილაია სათადარიგოთა შორისაა. ამასობაში მეორე წრე უელსური კლუბების დაპირისპირებით დაიწყო. მეორეადგილოსანმა „ჰლანეჰლიმ“ სტუმრად წააგო „ოსფრიზთან“ - 3:32, ხოლო „კარდიფ ბლუზმა“ შინ მოუგო „ნიუპორტს“ - 12:10.

კელტთა ლიგა

XII ტური

კარდიფი-ნიუპორტი 12:10, ოსფრიზი-ჰლანეჰლი 32:3, ბენეტონი-ზებრე, ედინბურგი-გლაზგო, მანსტერი-ალსტერი, ლენსტერი-ქონოთი.

სატურნირო მდგომარეობა

1. ალსტერი - 47 ქულა, 2. ჰლანეჰლი - 38, 3. მანსტერი - 33, 4. გლაზგო - 32, 5. ლენსტერი - 31, 6. ოსფრიზი - 27, 7. ბენეტონი - 23, 8. ედინბურგი - 21, 9. კარდიფი - 21, 10. ქონოთი - 16, 11. ნიუპორტი - 13, 12. ზებრე - 5.

გვერდი მოამზადა
ბესიკ ჯანგავაძემ

ეროვნული ბიბლიოთეკა

უცხოური სპორტი

● კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი

კლიპერსის ზედიზედ მე-15



დურანტმა 40 ქულა დააგროვა

გუშინ ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში მხოლოდ ორი მატჩი გაიმართა.

„ოკლაჰომამ" ზედიზედ მეშვიდედ დაამარცხა „დალასი", რომელიც სერიოზულ კრიზისში იმყოფება. „კოვბოებმა" მიმდინარე რეგულარულში ზედიზედ მეოთხე შეხვედრა დათმეს, სულ კი ბოლო რვა მატჩში მეშვიდედ დამარცხდნენ.

„თანდერის" საშინაო მოგებათა სერია 11 მატჩამდე გაიზარდა, თუმცა მატჩის მსვლელობისას გამოჩნდა, რომ **სკოტ ბრუქსის** შეგირდებს ყველაფერი წესრიგში ვერ ჰქონდათ. პირველ მეოთხედში ჩანდა, რომ „ოკლაჰომა" ვერ გამოვიდა იმ მარცხიდან, რომელიც „მაიამისთან" განიცადა, თან აშკარად არ შეაფასა მეტოქის შესაძლებლობები. მოულოდნელად, მასპინძლები ნელ ტემპში თამაშობდნენ, იმ დროს, როცა „დალასმა" მისთვის უჩვეულო სისწრაფე განავითარა და მარტო პირველ მეოთხედში ცხრაჯერ გაიქცა კონტრშეტევაში. „ოკლაჰომას" მხრიდან სტუმრებისთვის წინააღმდეგობის გაწევას მხოლოდ **დურანტისა** და **იბაკას** წყვილი ცდილობდა. ისინი ახერხებდნენ ჩამორჩენის გაბათილებას, რომელიც ხანდახან 11 ქულას აღწევდა, გარდა ამისა, ასწორებდნენ **უესტბრუკისა** და რეზერვისტების მუდმივ შეცდომებს. სათადარიგოებს შორის გამონაკლისი მხოლოდ **მარტინი** იყო, რომელმაც სარგებლიანობის „+10" კოეფიციენტი დააფიქსირა.

ამ მატჩის ერთ-ერთი მთავარი დაპირისპირება გახდა რასელ უესტბრუკისა და **დარენ კოლისონის** დუელი. „ოკლაჰომას" გამთამაშებელმა სერიოზული განაცხადი გააკეთა შეხვედრის ანტიგმირობაზე, როცა პირველი ათი ტყორცნიდან ცხრა აცილა. კოლისონმა კი პირიქით, სეზონში თავისი ყველაზე შედეგიანი მატჩი ჩაატარა, ხოლო მისი ტყორცნა, რომელმაც შეხვედრა ოვერტაიმში გადაიყვანა, ნამდვილი შედევრი იყო. მან სამქულიანის ხაზთან სირენამდე წამით ადრე მიიღო ბურთი და ცალ ფეხზე მდგომმა და თითქმის წაქცეულმა გაისროლა შორიდან.

მაგრამ ამით კოლისონის სიხარული დასრულდა და უესტბრუკის დრო დადგა. მას შემდეგ, რაც დამატებით დროში სტუმრები **კრის კამანის** ზუსტი ტყორცნით 104:101 დაწინაურდნენ, „თანდერის" რეაქტიულმა მცველმა ზედიზედ ექვსი ქულა ჩაიწერა აქტივში: ფარქვეშ შესვლა, საშუალო ტყორცნა **დირკ ნოვიცკის** წინააღმდეგობის მიუხედავად და **ო ჯეი მაიოს** ჩაჭრილი გადაცემა და სწრაფი გარღვევა.

სანამ ეს მოხდებოდა და რასელ უესტბრუკი საბოლოოდ გაიღვიძებდა, „ოკლაჰომა" მეოთხე მეოთხედის დასრულებამდე 7 წუთით ადრე 10 ქულას აგებდა. გუნდი ბოლო სამი სეზონის საუკეთესო სნაიპერმა კევინ დურანტმა გადაარჩინა, რომელიც პირადად ჩაუდგა სათავეში 17:6 სპურტს. თუმცა ოვერტაიმში მისი სამივე ტყორცნა მიზანს ასცდა, მაგრამ დამატებით დროს, როგორც უკვე მოგიყევით, თავისი გმირი ჰყავდა.

„კლიპერსმა" საკუთარ მოედანზე გაანადგურა „ბოსტონი" და 15 მატჩამდე აიყვანა მოგებათა სერია. კალიფორნიელები პირველივე წუთებიდან დომინირებდნენ და მალე მიაღწიეს ათქულიან უპირატესობას, რომელიც მხოლოდ იზრდებოდა. დღეისთვის **ვინი დელ ნეგროს** განკარგულებაში ფაქტობრივად ორი შემადგენლობაა - პირველი სასტარტო ხუთეული ზუსტი და მკაცრი სქემებით და მეორე - სათადარიგო, რომელშიც ყველა თავისი სიამოვნებისთვის თამაშობს. სწორედ მეორე შემადგენლობიდან **ბარნსი** და **კროუფორდი** გახდნენ მატჩის ყველაზე შედეგიანი კალათბურთელები (შესაბამისად, 21 და 17 ქულა დააგროვეს). ჯერჯერობით „ბოსტონს" და NBA-ს არც ერთ სხვა გუნდს არ აქვს ასეთი როტაცია.

სერიოზულად იმოქმედა „ბოსტონის" თამაშზე სოლიდური რაოდენობის შეცდომამ. მესამე მეოთხედის შემდეგ სტუმრების ანგარიშზე უკვე 13 დაკარგვა იყო, რაც 18 გაშვებულ ქულაში გადაიზარდა. „სელტიქსს" ჰქონდა მეტოქის დანევის რამდენიმე მცდელობა, მაგრამ არ გამოუვიდა, შესაბამისად, **კრის პოლმა** და კომპანიამ მშვიდად ჩაამთავრა მეოთხე მეოთხედი და მოიგო ზედიზედ მე-15 მატჩი. საინტერესო, რომ ბოლოს ასეთი სერია სწორედ „ბოსტონს" ჰქონდა 2009 წელს.

ოკლაჰომა-დალასი 111:105 (ო)

21:29, 22:16, 30:36, 25:17, 13:7

ო: დურანტი (40+8 ჩაჭრა+5 პასი+3 დაფარება), იბაკა (19+17 მოხსნა+5 დაფარება), მარტინი (18+7 მოხსნა), უესტბრუკი (16+6 მოხსნა+10 პასი+3 ჩაჭრა).

დ: კოლისონი (32+5 მოხსნა+4 ჩაჭრა), კამანი (17+8 მოხსნა), მერიონი (14+9 მოხსნა+7 პასი), ნოვიცკი (9+6 მოხსნა).

კლიპერსი-ბოსტონი 106:77

30:20, 30:27, 22:20, 24:10

კ: ბარნსი (21), კროუფორდი (17), გრიფინი (15+8 მოხსნა), ბატლერი (14), პოლი (8+11 პასი), ოდომი (4+13 მოხსნა+5 პასი+4 დაფარება).

ბ: გარნეტი (16), პირსი (12), ლი (12), რონდო (10+5 მოხსნა+6 პასი), ტერი (10+5 მოხსნა).

ეივერი ჯონსონი

ბრუკლინ ნეტსი უმნვრთნელოდ დარჩა

„ბრუკლინ ნეტსის" მფლობელმა, რუსმა მილიარდერმა **მიხაილ პროხოროვმა** მთავარი მწვრთნელის პოსტიდან დაითხოვა **ეივერი ჯონსონი**. არადა, ერთი თვეც არ არის გასული იმ მომენტიდან, როცა ჯონსონი ნოემბერში აღმოსავლეთი კონფერენციის საუკეთესო მწვრთნელად დაასახელეს.

სეზონის სტარტზე გუნდმა მოიგო 15-დან 11 შეხვედრა. „ნეტსისთვის" ყველაფერი კარგად მიდიოდა, მაგრამ შემდეგ დაიწყო ყოვლად აუხსნელი ჩავარდნა, რომლის დროსაც გუნდმა 13-დან 10 შეხვედრა დათმო. სწორედ ეს გახდა განთავისუფლების მიზეზი. კლუბის ხელმძღვანელობისთვის ბოლო წვეთი იყო შობაზე საშინაო წაგება „ბოსტონთან" - 76:93.

ჯონსონმა „ნეტსი" 2010 წლის 15 ივნისს ჩაიბარა, მაგრამ ერთხელაც ვერ გაიყვანა ის პლეი ოფში. მისი ხელმძღვანელობით გუნდმა მხოლოდ 60 მატჩი მოიგო და 116-ჯერ დამარცხდა.

განთავისუფლებულ ადგილს დაიკავებს **პი ჯეი კარლესიმო**, რომელიც 2011 წლის დეკემბრიდან ჯონსონის თანაშემწედ მუშაობდა. ის მოვალეობის დროებითი შემსრულებელი იქნება. კარლესიმოს აქვს დამოუკიდებელი მუშაობის გამოცდილება „პორტლენდთან", „გოლდენ სტეიტთან", „სიეტლთან" და „ოკლაჰომასთან". ამ გუნდებში მან ჯამში 204 მატჩი მოიგო და 296 წააგო.

„ბრუკლინის" გენერალურმა მენეჯერმა **ბილი კინგმა** განაცხადა, რომ კლუბი უახლოეს ხანში დაიწყებს ახალი მწვრთნელის ძებნას. მაგრამ თუ კარლესიმო გუნდს წესრიგში მოიყვანს და სიტუაცია უკეთესობისკენ შეიცვლება, მან შეიძლება სეზონის ბოლომდე იმუშაოს. „ნეტსის" მთავარი მწვრთნელის პოსტზე სავარაუდო კანდიდატებს შორის სახელდება NBA-ის ისტორიაში ყველაზე ტიტულოვანი სპეციალისტი **ფილ ჯექსონი**, თუმცა მისმა აგენტმა **ტოდ მასბურგერმა** განაცხადა, რომ ჯექსონი არ არის დაინტერესებული „ნეტსში" მუშაობით.



დუეინ უეიდი

ლებრონი და კობი ლიდერობენ

ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნდა ხმის მიცემის მორიგი საშუალედო შედეგები, რომლის მიხედვითაც ირკვევა „ყველა ვარსკვლავის მატჩის" სასტარტო ხუთეულები. კვლავინდებურად აღმოსავლეთ და დასავლეთ კონფერენციებში ლიდერობენ **ლებრონ ჯეიმსი** („მაიამი") და **კობი ბრაიანტი** („ლეიკერსი").

წინასწარი შედეგები ასე გამოიყურება:

აღმოსავლეთი

ფორვარდები: ლებრონ ჯეიმსი („მაიამი") - 970 314; კარმელო ენტონი („ნიუ იორკი") - 891 759; კევინ გარნეტი („ბოსტონი") - 328 716; კრის ბოში („მაიამი") - 308 194; ტაისონ ჩენდლერი („ნიუ იორკი") - 260 000.

მცველები: დუეინ უეიდი („მაიამი") - 645 875; რაჟონ რონდონ („ბოსტონი") - 574 272; დერონ უილიამსი („ბრუკლინი") - 309 778; კაირი ირვინგი („კლივლენდი") - 258 193; რეი ალენი („მაიამი") - 195 142.

დასავლეთი

ფორვარდები: კევინ დურანტი („ოკლაჰომა") - 924 898; დუაიტ ჰოვარდი („ლეიკერსი") - 616 150; ბლეიკ გრიფინი („კლიპერსი") - 489 795; ტიმ დანკანი („სან ანტონიო") - 299 434; პაუ გასოლი („ლეიკერსი") - 197 377.

მცველები: კობი ბრაიანტი („ლეიკერსი") - 977 444; კრის პოლი („კლიპერსი") - 542 564; ჯერემი ლინი („ჰიუსტონი") - 496 133; ჯეიმს ჰარდენი („ჰიუსტონი") - 283 691; რასელ უესტბრუკი („ოკლაჰომა") - 232 074.

■ ■ ■

ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ხელმძღვანელობამ ერთმატჩიანი დისკვალიფიკაციით დასაჯა „მაიამის" მცველი **დუეინ უეიდი**. მიზეზი „შარლოტთან" მატჩში მომხდარი ინციდენტი გახდა, რომლის დროსაც „ჰიტის" ვარსკვლავმა საზარდულში მუხლი ჩაარტყა „ბობკეტსის" მცველ **რამონ სეშენსს**.

საინტერესოა, რომ ეს სათამაშო ეპიზოდი მსაჯებმა არასწორად შეაფასეს და პერსონალური სეშენსს გამოუწერეს.

ასე რომ, უეიდს მოუწევს დღეს „დეტროიტ პისტონზთან" მატჩის გამოტოვება.

გვერდი მოამზადა
გია თვალაგეიშვილმა

● ფორმულა 1

უცნაური სეზონი 2013 წელს

მომავალ სეზონში ფორმულა 1-ის მხოლოდ ხუთ რბოლაში მიიღებს მონაწილეობას ადგილობრივი პილოტი: **მარკ უებერი** და **დანიელ რიკარდო** - ავსტრალიაში; **ფელიპე მასა** - ბრაზილიაში; **ფერნანდო ალონსო** - ესპანეთში; **ჯენსონ ბატონი, ლუის ჰემილტონი, პოლ დი რესტა** და **მაქს ჩილტონი** - ბრიტანეთში; **სებასტიან ფეტელი, ნიკო როსბერგი, ნიკო ჰიულკენბერგი** და **ტიმო გლოკი** - გერმანიაში.

ყოველ წელს მცირდება ევროპული ეტაპების რიცხვი, მათ ნაცვლად ჩნდება ახალი რბოლები აზიაში, მაგრამ ეს არ იწვევს ფორმულა 1-ში ამ ქვეყნებიდან პილოტების გამოჩენას. 2013 წლისთვის, ორი აზიური ქვეყანა - ინდოეთი და იაპონია დაკარგავს თავის წარმომადგენლებს პელოტონში. ჯერჯერობით უცნობია, როგორ იმოქმედებს ეს ბილეთების რეალიზაციაზე, მაგრამ არსებობს საფრთხე იმისა, რომ ინდოეთი შეუერთდება სამხრეთ კორეას, ჩინეთსა და თურქეთს, სადაც დასწრება ტრადიციულად დაბალია.



გასაკვირია, მაგრამ 1950 წელს, ფორმულა 1-ის პირველ სეზონში, რომელიც ექვს გრანპრის აერთიანებდა, ყოველ რბოლაშიმონაწილეობდა ადგილობრივი პილოტი. ანტონიო კარლოსი დამყარდა 1966 წელს, როცა 2013 წლის მსგავსად, მხოლოდ ხუთ ეტაპზე გავიდა სტარტზე მასპინძელი ავტომრბოლი. ის სეზონი ცხრა რბოლისგან შედგებოდა, ასე რომ, ადგილობრივებმა მონაწილეობა მიიღეს რბოლების 55.6 პროცენტში. 2013 წელს, ეს მაჩვენებელი მხოლოდ 26.3 პროცენტი იქნება.

■ ■ ■

„მაკლარენი" აგრძელებს მოლაპარაკებებს იაპონურ „ჰონდასთან" თანამშრომლობის გაგრძელებაზე, რომელიც ძრავების მოწოდებას უკავშირდება. ბრიტანულ გუნდს სწორედ „ჰონდას" იმედი აქვს 2014 წელს, როცა შეიცვლება ფორმულა 1-ის ტექნიკური რეგლამენტი. პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ „ჰონდა" „მაკლარენთან" ფანამშრომლობის განახლებას მხოლოდ 2015 წელს აპირებს, ამიტომაც, ბრიტანელებს 2014 წელს საშუალედო ვარიანტი ექნებათ მოსაძებნი.

სავარაუდოდ, ამ პერიოდში „მაკლარენი" „მერსედესის" ძრავებს გამოიყენებს, თუმცა ადრე გაჩნდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ მხარეები დაასრულებენ ურთიერთობას 2013 წლის სეზონის შემდეგ.

ჩოგბურთი

ავსტრალია ნადალის გარეშე

რაფამ უარი თქვა დიდი სლემის პირველ ტურნირში გამოსვლაზე

მსოფლიოს მეოთხე ჩოგანმა, ესპანელმა **რაფაელ ნადალმა** გამოაცხადა, რომ ვერ შეძლებს 2013 წელს ავსტრალიის ღია პირველობაზე გამოსვლას. მიზეზი ვირუსული ინფექცია გახლავთ.

„მუხლებთან დაკავშირებით ყველაფერი წესრიგში მაქვს, აღდგენითი პროცესი გრძელდება, მაგრამ ვირუსული ინფექცია უკვე ერთი კვირაა, არ მაძლევს ვარჯიშის საშუალებას, - ამბობს 26 წლის ჩოგბურთელი „ნიუ იორკ თაიმსისთვის“ მიცემულ კომენტარში. - სამწუხაროდ, იძულებული ვარ, გამოვაცხადო, რომ ვერ ვითამაშებ დოჰაში, აგრეთვე ავსტრალიის ღიაში, როგორც ეს ადრე მქონდა დაგეგმილი“.

„ექიმები ამბობენ, რომ ამ სიტუაციაში საუკეთესო ვარიანტია - დასვენება და ლოდინი, როდის მოერევა ორგანიზმი ვირუსს. ახლა, დაველოდები ტურნირს აკაპულკოში, რომელიც თებერვლის დასასრულს გაიმართება. სწორედ იქ ვაპირებ სეზონის დაწყებას. თუმცა არ გამოვრიცხავ, უფრო ადრე რომელიმე ტურნირში გამოჩენას“, - დაამატა ნადალმა.

რაფაელ ნადალი

■ ■ ■

იტალიელი ჩოგბურთელი **ფლავია პენეტა** ვერ შეძლებს 2013 წლის სეზონში „დიდი სლემის“ პირველ ტურნირზე - ავსტრალიის ღია პირველობაზე გამოსვლას. რეიტინგის ტოპათეულის ყოფილმა წევრმა შარშან, აგვისტოში გაიკეთა მხარზე ოპერაცია და მას შემდეგ აღდგენით კურსს გადის.

„ბოლომდე არ ვარ ოპტიმალურ ფიზიკურ ფორმაში, ამიტომაც არ მინდა ძველი ტრავმის გამიზეზება. ვფიქრობდი, რომ მოვასწრებდი მელბურნისთვის ძალების აღდგენას, მაგრამ ახლა გადავწყვიტე, კარიერა თებერვლის დასაწყისში ბოგოტას ტურნირზე განვაახლო“, - ამბობს პენეტა იტალიურ პრესასთან კომენტარში.

ნოლე კარგ ფორმაშია

გუშინ აბუ დაბის საჩვენებელ ტურნირზე გაიმართა ნახევარფინალური მატჩები. პირველები კორტზე გავიდნენ მსოფლიოს პირველი ჩოგანი, სერბი **ნოვაკ ჯოკოვიჩი** და ესპანელი **დავიდ ფერერი**, რომელმაც წინა დღეს, მეოთხედფინალში ჩეხი **ტომაშ ბერდიხი** დაამარცხა.

მაყურებელთა მოლოდინის მიუხედავად, შეხვედრაში ბრძოლა არ შედგა - ჯოკოვიჩმა ორ სეტში მხოლოდ სამი გეიმი დაუთმო მეტოქეს და 6:0, 6:3 გაიმარჯვა. სერბმა ხუთი ბრეიკი მოიპოვა და მხოლოდ ერთხელ დათმო საკუთარი მოწოდება.

„მომწონს აქაური კორტი და თან აბუ დაბიში ამინდიც ხელს მიწყობდა, - განაცხადა მატჩის შემდეგ 25 წლის სერბმა. - კარგი იქნებოდა, მსოფლიოში ყველა ტურნირი აქ იმართებოდეს. მოკლედ, აბუ დაბიში უბრალოდ იდეალური პირობებია სეზონისთვის მოსამზადებლად.

ნოვაკ ჯოკოვიჩი

სამართლე გითხრათ, გაკვირვებული დავრჩი სეზონის პირველ მატჩში ასეთი თამაშის ჩვენებით. იმედია, ხვალ კიდევ ერთ კარგ მატჩს ჩავატარებ“.

ჯოკოვიჩის მეტოქე დღის მეორე შეხვედრაში ირკვეოდა. აბუ დაბიში **რაფაელ ნადალის** შემცვლელმა, ესპანელმა **ნიკოლას ალმაგრომ** სამ სეტში მოუგო სერბ **იანკო ტიპსარევიჩს** - 2:6, 7:6(3), 6:2.

ეს ჩოგბურთელები მეორედ ხვდებოდნენ ერთმანეთს და ალმაგრომ მეორედ შეძლო ტიპსარევიჩის დამარცხება. ფინალი დღეს გაიმართება.

■ ■ ■

ამასობაში, ნოვაკ ჯოკოვიჩმა განაცხადა, რომ 2013 წლის სეზონში პრიორიტეტად როლან გაროსს მიიჩნევს და სურს, ამ ტურნირისთვის მაქსიმალურად კარგად მოემზადოს. შეგახსენებთ, - „დიდი სლემის“ ტურნირებიდან საფრანგეთის ღია პირველობაა ერთადერთი, რომელიც სერბ ჩოგბურთელს არ მოუგია.

„როლან გაროსი“ ყოველთვის მიიჩნეოდა ჩემთვის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს შეჯიბრებად. ეს არის ერთადერთი „სლემი“, რომელიც ჯერ არ მომიგია. შარშან აქ ფინალში ვითამაშე და ეს წინ გადადგმული ნაბიჯი იყო, რადგან მანამდე ასე შორს პარიზში არ გავსულვარ. 2012 წლის გადამწყვეტი მატჩი ნადალთან ბრწყინვალე გამოვიდა. თან უდიდესი გამოცდილება მივიღე“, - ამბობს ჯოკოვიჩი.

■ ■ ■

გერმანელმა ვეტერანმა **ტომი ჰაასმა** ჟურნალისტებს გამოუცხადა, რომ არ ითამაშებს 2013 წლის დევისის თასის მერვედფინალში, რომელშიც გერმანია სტუმრად არგენტინას შეხვდება.

შეგახსენებთ, რომ ეს მატჩი თებერვლის დასაწყისში ბუენოს აირესში უნდა გაიმართოს და მასში მონაწილეობაზე ასევე უარი განაცხადა არგენტინის ნაკრების ლიდერმა **ხუან მარტინ დელ პოტრომ**.

სამთო თხილამურები. მსოფლიოს თასი

მაზე უპირატესობას ზრდის

როგორც ჩანს, წელს ქალებს შორის მსოფლიოს თასის „დიდი ბროლის გლობუსისთვის“ ბრძოლა არ შედგება. სეზონის ლიდერი **ტინა მაზე** ყოველი სტარტის შემდეგ ზრდის უპირატესობას და უახლოესი კონკურენტის ჩამორჩენა უკვე 400 ქულას გადაცდა.

გუშინ ავსტრიის ზემერინგში გაიმართა გიგანტური სლალომის სტარტი და მაზე მეორე ადგილზე გავიდა. ეს იყო სლოვენიელის მეათე პოდიუმი სეზონში და ახლა გენერალურ კლასიფიკაციაში მეორე ადგილზე მყოფ გერმანელ **მარია რიშს** 417 ქულით უსწრებს.

გუშინდელ ეტაპზე დომინირებდა 23 წლის ავსტრიელი **ანა ფენინგერი**. მან ორივე ცდაზე საუკეთესო დრო დააფიქსირა და საბოლოოდ, საკმაოდ ბევრი - ცხრა მეათედი წამი მოუგო მაზეს.

ფენინგერისთვის ეს იყო კარიერაში მეორე გამარჯვება და ორივე საშინაო ტრასებზე აქვს მოპოვებული. ერთი წლის წინ ანამ ლინცში ასევე გიგანტური სლალომი მოიგო. გუშინდელ ტრიუმფატორს ისე მოეწონა საკუთარი გამოსვლა, რომ თავის სრიალს თოვლზე ცეკვა უწოდა.

დღეს ზემერინგში ქალები სლალომში შეეჯიბრებიან ერთმანეთს.

სლალომი

1. **ანა ფენინგერი** (ავსტრია) - 2:13.09 (1:06.42+1:06.67); 2. **ტინა მაზე** (სლოვენია) - 2:14.19 (1:07.32+1:06.87); 3. **ტესა ვორლი** (საფრანგეთი) - 2:14.27 (1:06.98+1:07.29); 4. **მარია რიში** (გერმანია) - 2:14.76 (1:07.56+1:07.20); 5. **ვიქტორია რებენსბურგი** (გერმანია) - 2:15.00 (1:07.67+1:07.33); 6. **ჯესიკა ლინდელ-ვიკარბი** (შვედეთი) - 2:15.48 (1:07.64+1:07.84).

საერთო ჩათვლა

1. **ტინა მაზე** (სლოვენია) - 999 ქულა; 2. **მარია რიში** (გერმანია) - 582; 3. **კატრინ ცეტელი** (ავსტრია) - 502 ; 4. **ანა ფენინგერი** (ავსტრია) - 450; 5. **ლინდსი ვონი** (აშშ) - 414; 6. **ვიქტორია რებენსბურგი** (გერმანია) - 391...

ავტოსპორტი

ბარიკელო სამშობლოში ირბოლებს

ფორმულა 1-ის ყოფილმა პილოტმა, ბრაზილიელმა **რუბენს ბარიკელომ**, რომელიც 2012 წელს ინდიკარის ამერიკულ სერიაში გამოდიოდა, ოფიციალურად გამოაცხადა, რომ 2013 წელს სტოკ-კარების ბრაზილიურ ჩემპიონატში გამოვა. ბარიკელო საჯინიბო Full Time Sports-ის ღირსებას დაიცავს.

„მოვიდა დრო, ყველაფერს ოფიციალური სახე მივცეთ. მოხარული ვარ გამოვაცხადო, რომ 2013 წელს, მონაწილეობას მივიღებ სტოკ-კარებით ბრაზილიის ჩემპიონატში. ჩემი ახალი სახლი Full Time Sports გახდება, ჩვენი ძირითადი სპონსორი - Generic Medley. 20 წელიწადზე მეტია, ბრაზილიას წარმოვადგენ მთელს მსოფლიოში და ახლა მოვიდა დრო, შინ დავბრუნდე. კარგი იქნება სამშობლოში რბოლა, ეს საშუალებას მომცემს, უფრო ახლოს ვიყო ოჯახთან.

უდიდეს ენთუზიაზმს ვგრძნობ. მინდა, მადლობა ვუთხრა ყველას, ვინც ამ წლების განმავლობაში მხარს მიჭერდა. ვაპირებ, ჩემს გულშემატკივრებს ტრასაზე გამოსვლით სიამაყის საბაბი მივცე. იმედია, 2013 წელი წარმატებული იქნება“, - დაწერა თავის მიკრობლოგზე ბარიკელომ.

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

ცხელი ხაზი

ფეხბურთი

უელსი

ბანგორი-პრესტატინი	3:3

ავსტრალია

მელბურნი 3-ნიუკასლი	3:2

კალათბურთი

ევროლიგა

ცსკა-ეფესი	90:71
ბარსელონა-ფენერბაჰჩე	100:78
პანათინაიკოსი-ჟალგირისი	67:66

საფრანგეთი

ვილერბანი-ლიმოჟი	79:56
ბულაზაკი-დიჟონი	46:58
ნანტი-გრაველინი	77:87
პარიზი-ჰავრი	94:73
პუატიე-ლე მანი	69:71
შალონი-სტრასბური	66:73
შოლე-როანი	79:60
ორლეანი-ნანსი	89:87

პოკერი

კულ

ავანგარდი-ტორპედო	1:0
ავტომობილისტი-სიბირი	0:2
ბარისი-ლოკომოტივი	2:0
მეტალურგი (მ)-მეტალურგი (ნ)	6:0
ტრაქტორი-ამური	3:1
იუგრა-ატლანტი	3:5
დინამო (მ)-ლევ პოპრადი	2:4
სკა-სლოვანი	1:0

ავსტრია

ვილახი-დორნბირნი	6:2
გრაცი-ვენა	2:3 (ბ)
ზალცბურგი-ზაგრები	1:0
ინსბრუკი-ალბა	0:1
ლინცი-კლაგენფურტი	8:2
ოლიმპია-ზნოიმო	3:2 (ბ)

გერმანია

აისბარენი-ინგოლშტადტი	3:1
იზერლონი-ჰანოვერი	4:5
კიოლნი-კრეფელდი	5:6
მიუნხენი-ჰამბურგი	1:5
ნიურნბერგი-ვოლფსბურგი	4:2
შტრაუბინგი-დიუსელდორფი	4:1
როდოვრე-ესბერგი	1:2 (ო)
ოლბორგი-ფრედრიკშავნი	3:4 (ბ)
ჰერნინგი-ჰვიდოვრე	5:1
ჰერლევი-სონდერიისკი	2:1

ნორვეგია

ლილეჰამერი-რუსენბორგი	5:1
ლორენსკოგი-ტონსბერგი	12:3
სტორჰამარი-სპარტა	5:4 (ო)
სტიერნენი-ვოლერენგა	2:1
ფრისკ ასკერი-სტავანგერი	6:2

სლოვაკეთი

ჟილინა-მარტინი	6:5
ნიტრა-სკალიცა	1:4
ტრენჩინი-ზვოლენი	2:1
კოშიცე-ბისტრიცა	4:3 (ო)
პიესტანი-პოპრადი	2:0

ფინეთი

ილვესი-კალპა	1:2
საიპა-ბლუზი	1:3
ტპს-ესეტი	0:2
ჰიფკ-ტაპარა	5:1
ჰპკ-იოკერიტი	2:3 (ო)
იუვასკიულა-ჰელიკანსი	2:3 (ო)

ჩეხეთი

ხომუტოვი-ბუდეიოვიცე	5:3
პარდუბიცე-ლიტვინოვი	4:2
პლზენი-ბრნო	3:1
ლიბერეცი-სლავია	0:1 (ბ)
სპარტა-ზლინი	1:2 (ბ)

შვეიცარია

აიკ-ტიმრა	1:0
ლინჩოპინგი-ჰ371	5:4
ლულეა-ვოდო	1:4
ფერიესტადი-ბრინასი	3:2
ფრიოლუნდა-ვეძსიო	3:2
შელეფტეო-როგლე	5:2

მს. ჩემპიონატი

UNDER 20

ფინეთი-ჩეხეთი	1:3
კანადა-სლოვაკეთი	6:3
შვედეთი-შვეიცარია	3:2 (ბ)
რუსეთი-აშშ	2:1

TV პროგრამა

29 დეკემბერი. შაბათი

GMG-ფეხბურთი

10:00 ინგლისის ჩემპიონატი. XIX ტურის მიმოხილვა.
11:00 გერმანიის ჩემპიონატი. I წრის შემაჯამებელი. აინტრახტი.
12:30 ინგლისის ჩემპიონატი. XX ტურის წინ.
13:00 პროგრამა - იმედის ფსონი.
14:00 საფეხბურთო პროგრამა - გოლი.
16:00 ინგლისის ჩემპიონატი. XX ტურის წინ.
16:45 ინგლისის ჩემპიონატი. XX ტური. სანდერლენდი-ტოტენჰემი (LIVE).
19:00 ინგლისის ჩემპიონატი. XX ტური. მანჩესტერი-ვესტ ბრომვიჩი (LIVE).
21:00 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MONDIAL.
21:30 ინგლისის ჩემპიონატი. XX ტური. არსენალი-ნიუკასლი (LIVE).
23:30 გერმანიის ჩემპიონატი. I წრის შემაჯამებელი. დორტმუნდი.
01:00 მსოფლიო ფეხბურთის ლიდერები.

GMG-სპორტი 1

10:00 საფეხბურთო პროგრამა - გოლი.
11:30 NBA ACTION.
12:30 კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. დალასი-დენვერი.
15:00 გადაცემა - იმედის ფსონი.
16:00 რაგბი. ტესტ-მატჩი. ინგლისი-ფიჯი.
18:00 კალათბურთი. ევროლიგა. TOP 16. I ტური. მონტეპასკი-მაკაბი.
20:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. მაიამი. აშშ.
22:55 კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. დალასი-დენვერი.
00:15 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ტრანსვორლდსპორტი.

GMG-სპორტი 2

10:00 ჩოგბურთი. საჩვენებელი ტურნირი. აბუ დაბი. საემიროები.
14:00 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ტრანსვორლდსპორტი.
15:00 ჩოგბურთი. საჩვენებელი ტურნირი. აბუ დაბი. საემიროები (LIVE).
19:00 ფეხბურთი. ბრაზილიის ჩემპიონატი. ინტერნასიონალი-ფლამენგო.
21:00 კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. სან ანტონიო-ლეიკერსი.
23:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. დუბაი. საემიროები.

30 დეკემბერი. კვირა

GMG-ფეხბურთი

10:00 მსოფლიო ფეხბურთის ლიდერები.
11:00 გერმანიის ჩემპიონატი. I წრის შემაჯამებელი. დორტმუნდი.
12:30 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MONDIAL.
13:00 გადაცემა - იმედის ფსონი.
14:00 ინგლისის ჩემპიონატი. XX ტური. არსენალი-ნიუკასლი.
16:00 გერმანიის ჩემპიონატი. I წრის შემაჯამებელი. ლევერკუზენი.
17:30 ინგლისის ჩემპიონატი. XX ტური. ევერტონი-ჩელსი (LIVE).
19:30 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MONDIAL.
20:00 ინგლისის ჩემპიონატი. XX ტური. ქუინზ პარკი-ლივერპული (LIVE).
22:00 გერმანიის ჩემპიონატი. I წრის შემაჯამებელი. ბაიერნი.
00:30 ინგლისის ჩემპიონატი. XX ტური. მანჩესტერი-ვესტ ბრომვიჩი.

GMG-სპორტი 1

10:00 ფეხბურთი. არგენტინის ჩემპიონატი. ველეს სარსფილდი-გოდოი.
12:00 კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. მემფისი-დენვერი.
14:30 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ტრანსვორლდსპორტი.
15:30 კალათბურთი. ევროლიგა. მიმოხილვა.
16:30 რაგბი. ტესტ-მატჩი. ინგლისი-ავსტრალია.
18:30 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. მადრიდი. ესპანეთი.
22:00 NBA ACTION.
23:00 კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. მემფისი-დენვერი.

GMG-სპორტი 2

10:00 ჩოგბურთი. საჩვენებელი ტურნირი. აბუ დაბი. საემიროები.
14:00 რაგბი. ოთხი ერის თასი. ავსტრალია-არგენტინა.
16:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. დუბაი. საემიროები.
18:20 ფეხბურთი. არგენტინის ჩემპიონატი. რივერ პლეიტი-ნიუელსი.
20:20 კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი.
22:30 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. ინდიან უელსი. აშშ.

ამინდის პროგნოზი

თბილისი	-1	12	(მზე)
ქუთაისი	3	15	(მზე)
ბათუმი	6	14	(მზე)
ფოთი	8	13	(მზე)
ზუგდიდი	3	15	(მზე)
გორი	-3	12	(მზე)
თელავი	-1	10	(მზე)
სიღნაღი	-2	10	(მზე)
ბაკურიანი	-12	3	(მზე)
ბორჯომი	-5	8	(მზე)
მესტია	-8	4	(თოვლი)

ვალუტის კურსი

1 ევრო	2.1825
1 ამერიკული დოლარი	1.6567
1 ბრიტანული ფუნტი	2.6653
100 რუსული რუბლი	5.4546

ახალი TOP10

წლის ბოლოს ბრიტანულმა ტაბლოიდმა „სანმა“ შეადგინა ფეხბურთელთა ცოლებისა და მეგობარი გოგონების ტოპ-ათეული

1. ნატალია ველესი. მოდელი. ხვდება „ატლეტიკოსა“ და კოლუმბიის ნაკრების ფორვარდ რადამელ ფალკაოს

10. ჰელენ ჰლენეგანი. მსახიობი. ხვდება „მანჩესტერ სიტის“ ნახევარცველს სკოტ სინკლერს



7. შაკირა. მომღერალი. ხვდება „ბარსელონასა“ და ესპანეთის ნაკრების მცველ ხერარდ პიკეს. იანვარში მათ პირველი შვილი შეეძინებათ

3. კატია ზინგარევიჩი. მოდელი. „რედინგის“ მფლობელის ანტონ ზინგარევიჩის ცოლი

4. სარა კარბონერო. ჟურნალისტი. „რეალისა“ და ესპანეთის ნაკრების მეკარის იკერ კასილიასის საცოლე

6. ები კლენსი. მოდელი. „სტოკ სიტის“ ფორვარდის პეტერ კრაუჩის ცოლი

2. ირინა შეიკი. მოდელი. რუსი „რეალისა“ და პორტუგალიის ნაკრების ნახევარმცველის კრისტიანო რონალდოს შეყვარებულია

8. ფრენკი სენფორდი. მომღერალი. ინგლისის ნაკრების ყოფილი მცველი უეინ ბრიჯი, რომელიც ამ მომენტისთვის თავიდან იწყებს კარიერას „ბრაიტონში“, ფრენკის 2010 წლიდან ხვდება

9. ტულისა კონტოსტავლოსი. მომღერალი. მისი გულისთვის „ნიუკასლის“ მცველმა დენი სიმპსონმა მიატოვა თავისი ორი შვილის დედა

5. ჯორჯინა დორსეტი. მსახიობი. ხვდება „მანჩესტერ იუნაიტედის“ ნახევარმცველ ტომ კლეევერლის. დეკემბერში ცნობილი გახდა, რომ წყვილი პირველ შვილს ელოდება

ISSN 2233-3827

9 772233 382000

დამფუძნებელი და გამომცემელი **შპს გამომცემლობა ლელო**

გამოიცემა ყოველდღე, გარდაკვირისა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის პირველი მოადგილე **გია თვალაბეიშვილი**; მოადგილეები: **ნიკოლოზ ნეფარიძე, გია ტუხაშვილი**; მხატვრული რედაქტორი: **ვაჟა სიმონიშვილი**
ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი**. *ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი:* ***ირაკლი თავაძე***

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს“ მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 2383-384. ელფოსტა: leloltd@gmail.com; lelo@palitra.ge ხელმოწერილია დასაბეჭდად: 02:40

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **242 32 73, 599 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 232 38 08 63;** ინდექსი **66435** INDEX. რეკლამა: **237 78 07**

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

საბანკო რეკვიზიტები: შპს „გამომცემლობა ლელო“, 205262062. ბანკი „ქართუ“ CRTUGE22 ა\ა GE19CR0120007000043608